ღუქვა მიხის ფანდურის ხმა და ტაოსდამყრელი, ნატივრალთა ტონალობაში აფურეებული ხეცსურული სიმღერა ისე უხდება და ესამება ვარსკვლავიანი ღამის იდუმალებას, როგორც ხანგრძლივი ნოსტალგიით დანყლულებულ გულს — სამშობლოს ხილვა... ხოლო „წინყარო“, მესრულბული გიორგი უმიკოპილის მიერ, იმდენად ღირიკული და ტკილმომოვანია, არა მარტო ჩვენ, ღია ცის ქვეშ შეყრებილი უჭრეულად დარბაზი, ღობისძირში განაბული ლევა ნავაზიცი უსულოსავით ვასუსულდა და გამეძრულა...

კოცონის ალი წყვდიადის კალთას ეწვდება და წეავს.

ზვიადა ქინძარაულიც აქაა, შატლიონი მელექსე, ტოლს რომ არ უდებს მეტოქეებს და საპასუხო გალექსებანი მოწინააღმდეგის ისეთ სახასიათო მტრობებს წარმოაჩენს ხოლმე, უცხო მსმენელსაც წამში გადაეღება ღობილიანი განწყობილება... ა.ნ. 19 აპრილით დათარიღებულ მესამეხეცე ზური ზვიადურთან პოეტური პატივების ფრაგმენტზე კარგად ჩანს „ჯოჯოხინი“ (ზვიადის მეტსახელი — ა.ა.) ნიჭი და მახვილგონიერება: „უყურეთ მიღმაველებსა, ჩემ გალექსებებს ბედავსა, ის კი არ იცის მავანა, საქმე ვისთან აქე ბეჩავსა, მარტო წინ სავალს უყურებს, უკან არ გაიბედავსა, ტყუილად ხედავს აღმისკე ფანგის გორსა და კლდეთათასა... მე არვის არას დაუფთობ, გულ არვინ გაბიხითქასა, ვერ დავხედავს სათქმელსა, როგორც ღრუბელი სეტყვასა...“

ბაკმყოფელული მთვარის შეუმღვრეველ შუქში გამტკნარებულა შატლი.

საღირაი ხეთისოს დაწუმებული სახლის დაზეპილ ბანზე შმიერი ნადირივით დაძრნის და დასუსნულებს მინარე შატლიურას სათავებიდან ჩამოსული ნიავი. ეს ზემოუზნის მონაბრე სახლია და ყველაზე მეტ სუსხთან თუ ქარამოტევისთან ჭდილიც მას უწევს შამირობით...

კიბეშიაგმულ ყორესთან ვერდები, ვაცურადებ და შეჩვენება, რომ სადაღაც აქვე, სულ ახლოს, დაიარაღის და სუთქაქენ ვუგარ წრეულმეილისა და ნაირა გელაშვილის ბრწყინვალე ნაწარმოებთა (ასეა, არ ვამეტებ!) - „პათარეკა ქინძარული“, „ამბრნი, უმბრნი და არანბი“ - ტრაგიკული, ბედისგან უღეთად გარყული და გამეტებული, უმონყალოდ განწირული პერსონაჟები: „ბასათაზარბრძნული“ ბათარეკა თამბოყარე, უნაკლი სხეულის მქონე, ცამეტი წლის არისტოკრატი ასული შვიია და მერცხია, თითქმის უცნობი ბიოგრაფიის მომიხივლებელი ქალაქელი ქალი...

ჯიშინი ფალბაურების ჩარდახიანი ქეთიკორის კარილია. სოფლის დაბლა უხმოდ მიდის და მილივლივ მოვავალი დარ-ავერიანი დროების მომსწრე არწული...

ნახარულა ღვთისმშობლის ჯვარი გორზე შატლის საგოვებელია — ჩამავეებული სპით განყოფილი მდუმარე კომკების სევიანია „სოფელი“.

ნაცნობი სახელები. ქვის ჩარჩოებში ჩასმული ფოტოსურათებიდან მოწერებული სახეები: ხორიელი, მზექელი, ბესო, სანათა, მაშურნა და სხვანი მრავალი...

ნაკიდნენ მოხუცები. მიუყვნი ახალგაზრდები...

მავთულბადით მოღობილი ქვაძეცული მარადისობა ძველ შატლისა და მის ახალ დასახლებას შორის მდებარეობს და, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, „ჟამის ბარდაბარ“ დროით განზომილებებს ერთმანეთთან აკავშირებს...

თუ მოახერხებ და ანატომის აკლდამებასაც (მათი აშენება, გადმოციემების თანახმად, თამარ დეფოფოს მიენერება) დაავლებ თვალს, აკლდამებს, რომელთა ქვის სატყველებსა და ქანდარზე ისევ ყრია შავი ქირით ნახოცთა ძეალ-მალი და ტალავის სწამდელები, დარწმუნდები, რომ აქამდე ამბად ვაგონილი წინამდევლი ყოფილა და ფანტა-

ზოისმიერის ხედვებით ნილი ამ უცნაური სამყაროს თავ-
გადსავალში ერთობ მეცროა.

ფაშინაშობის მძინვარე წლების უტყვი მონმეა ნასოფ-
ლარი ანატორი, სადაც დღეს ჩვენი შესაზღვრებები დგანან
და მათგან სულ რაღაც ნახევარი კოლომეტრის დაშორე-
ბით რუსეთის დროშა ფრიალებს...

ყურს უვადებ მყიფე, მოწყვეტილი სიმშვიდეს და მთელი
არსებით გრძნობ, როგორ გმინავს და ბუბუნებს მენს ფეხ-
ქვეშ უზორცოსავით უმიშარი კაი ყმების მკლავის ძალით
დღემდე მწინარუნებული მშობლიური მინა...

მინისზედა აკლდამები იხნავენ ანატორის ჯვარისგან
(მთავარანგელოზის სახელობის „რეჯულიან-ურჯულით“
სალოცავი) დამიზნებულ ანატორელთა დედაბუდიანად
ამონყვეტის უპრეტენდენტო მსტორიას, რომელიც დიდი
ხანა ელოდება თავის საფერ მსტრეცვს...

მიღმახევისთვის საავდრო ღრუბელი ირევა, ამინდს ცვა-
ლებადობის პირი უჩანს და შემოდგომის დამოკლებული
დღე (მაღე ჩამოთეთრდებიან თხოვრის თავი და ნაბაკურა-
ის ჩრდილი, ბახალახეც და არიშკის წყერი...) მეტის მოს-
რებების საშუალებას აღარ იძლევა — შატილსა და ანა-
ტორზე არანაკლებ საკვირველი მუცოს ნახვის რეალური
შესაძლებლობა ხელიდან გვისხლტება.

მზენერების ხანს ხახმატში ვართ.
ვერცხლის თასით მორთმულ თაფლს ვაკეფოვნებთ

და ბაბაღე ალუდაურის რეპერტუარს ვინერთ. მთაში
დღეს ძნელადლა თუ შეხედებით ხალხური ლეცხებისა თუ
ლეგენდა-გადმოცემების ისეთ მცოდნეს, მჭერსა და
უნაკლოდ მეტყველს, როგორც ბაბაღეა (დედაც უფრო
მთხრობლი ჰყავდა. 1981 წლის ივლისში იურა ჯავარი-
ძეთათ ერთად მეგვდი ბუბიკას და აქამდე არ განმეორდა
მისი ნაამბობი ბენიკუაზე, ალაქოს ხევი ქისტს მობარე-
ლი ხარები რომ დააყრევინა და უმეშელო ორთაბრძოლაში
ღრსეული გამარჯვება დაისაკუთრა)...

იხსენებს და გარმონზე ასრულებს მელოდიას, რომე-
ლიც ყმანელიქალობაში თანასოფელი დიაციმბისგან უს-
ნაელია. მსახიობური ნიჭიც დასყოლია: ეპიზოდურ როლს
თამაშობს გოდერძი ჩოხელის ფილმში „ადამიანთა სვე-
და“... დანაწინთ ივონებს გოდერძის — მძადაფიც მწე-
რალსა და რეცისორს; მოკითხვას გვაცხადებს ჩალი გოვის
როლის შემსრულებელ გურამ ფირცხალავსათ...

ბაბაღეს სახლის ჩასწვრივ მარმორღვეული ნისქელი
დგას — ხმაჩაწყვეტილი და სამუდამოდ გაუქმებული.

ხახმატის ძველ უბანში ანიელი ალუდაურის ნახაზლარის
ვეფებ. ამაოდ: ჩაქცეული მინურების საშან-მთეებში ვამ-
თადენას ნაუშლია. ძველებურ ხმაზე მხოლოდ ეგება — მი-
ნერალური წყალი — ბუტბუტებს, ისეც წინანდელივით
მშეფარე და გამრიელი.

დაღმართით ბისოსკენ ვეშეებით.
მერე — კორში, ბარისახო, მაღაროს კარი...
ამ სოფლებშიც მთქმელები მიგველიან.

რამორტაში

ეკა ბუფავიშვილი

რისთვის ინერაბ
რომანი?

ზურაბ ლავრელაშვილის
„მღვიმარება“

- გამოვიდა თუ არა იგი ლიტერატურულ ასპარეზზე, მის
პირველივე მოთხრობებსა და მინიატურებს ეტყობოდა, რომ
არაორდინარულ მწერალთან გვემხვდა საქმე - მოულოდნელი
სიუჟეტებით, საინტერესო ხასიათებით და შესანიშნავი სტი-
ლისტივით, ოღონდ ის, რაც მან ამ ბოლო რომანით შექმნა,
განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენს სამწველიშოში, - თქვა
ბატონმა როსტომ ჩხეიძემ ვურნალ „ჩვენი მწერლობის“ სა-
ლონიშო ზურაბ ლავრელაშვილის ახალი რომანის „მღვიმარე-
ბის“ განხილვაზე და დასძინა:

- ეს იმ რანგის ქმნილებაა, საერთო საკუთრება რომ ხდე-
ბა-ბოლმე, თითქმის ვივრგვინია ყველაფერი იმისა, რაც აქამ-
დე დაუწერია ავტორს და მგონა, რომ ის ამაზე არ შეჩერდება,
ზურაბ ლავრელაშვილი მაძიებელი კაცია და მიღწეულს არ

დასჯერდება, თუნდაც იმიტომ, რომ არაკითარი შემთხვევაში
არ მიატოვებს ამ რომანის ერთ-ერთ მთავარ გმირს - ლომი-
ურს - ძალზე კოლორიტულ პერსონაჟს, თავისი უცნაური ხა-
სიათით და მრავალბრძანობით დოსტოევსკის გმირებსაც რომ
მოგაგონებთ. ამის გამო რაბ ის ინტერესი გამკვირვება, ამ
რომანს რომ მოჰყვა მკითხველთა წრისგან. ვისაც ლიტერა-
ტურა ესმის, მისთვის ნათელია, რომ ეს ნაწარმოები ჩვეულა-
რივი მოვლენა არ არის ჩვენს სალიტერატურო სივრცეში.

შეკრებაზე მომხსენებელმა ქალბატონმა მათა ჯალი-
აშვილმა ვრცლად მიმოიხილა ზურაბ ლავრელაშვილის
ნაწარმოები, მისი შემოქმედება, სტილი, ისაუბრა პერსო-
ნაეთა ხასიათებზე, არაერთი პარალელი გადანდდა ქარ-
თული თუ მსოფლიო ლიტერატურის მეტრებს და აღნიშნა:

- „უდიდესი სიამოვნება ძალუფლებამ ან ვნებათა
დაცხრომა კი არა, ადამიანებზე დაკვირვება“, - ამბობს
ზურაბ ლავრელაშვილის ახალი რომანის ერთი
მეწერსონაღი. ვფიქრობთ, ეს სიტყვები კარგად გამოხატავს
პერსონაჟის არსს და ზურაბ ლავრელაშვილიც თავისი
შემოქმედებით შესანიშნავ დასკვირვებლად წარ-
მოგვიდგება. იგი თანამედროვე ქართული ლიტერატურაში
უდავოდ გამორჩეულია. მას აქვს თავისი სტილი, რომელ-
საც უპირატესად მისი ნაწარმოების ენობრივი ქსო-
ვილი ქმნის. მწიშნელეფონია ამ მდიდარი და მოქნილი
ენით დაბატული მხატვრული სამყარო. ამ
თვალსაზრისით, საინტერესოა მისი თემატიკის
მრავალფეროვნება, თანაბარი ინტერესით წერს



თანამედროვეობასა თუ წარსულზე, რელიურსა თუ მისტიკურზე. მისი მხატვრული სამყაროს დრო—სივრცე მუზუნიდავია, დასავლეთი და აღმოსავლეთი (თავიანთი კულტურით, რელიგიით, მითით, ზღაპრითა და ლექსებით) ხშირად იჭრებიან მის წარმოსახვაში, ამიტომ მისი შემოქმედება მრავალფეროვანია. უმთავრესი, რა თქმა უნდა, ადამიანია, რომელსაც წარმოაჩენს ნაირგვარ გარემოებასა და მშვიდასა თუ ქარტახილიან ისტორიულ ვითარებაში.

ეს არის ინტელექტუალური რომანი, სახეც რემინისცენციებითა და ალუზიებით. მიუხედავად ამისა, მსუბუქად იკითხება, რადგან ქვეტექსტებშია გადატანილი აზრის სიმძიმე და მისტიკურობა. ასე რომ, მწერალი, თანრობის თვალსაზრისით, ნამდვილად მაღალ ოსტატობას ავლენს.

რომანის დრო—სივრცული მოდელი სახეებით რეალისტურია. მწერალს მოქმედება გადაატყვს მეოცე საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციების ხანაში, რითაც ამჟღავნებს ქაოტურობას და სამყაროში ადამიანის დაკარგულობის შეგრძნებას. ამ ფონზე იხატება ერთი პიროვნების სულიერი ცვლილება, ფსიქოლოგიური სიღრმეებით ნარმოქნილია ეს მტკანველი პროცესი. მწერალი იხედება ადამიანის სულის ჯურღმულებში და იქ ნაწიან სიბნელესა და სინათლეს თანაბარი ინტენსივობით ამოწერს. მთავარი გმირი დაეძებს ხსნის გზას, ხშირად ეცემა, მარცხდება ვნებებთან ბრძოლაში, მაგრამ ბოლოს მაინც მოიკრებს ძალეზე და მიხედება, მთავარი სიფხილესა, მარადის მღვიმარება, რათა ჩასწვდეს დაფარული და მიხედვს საკუთარი სიცოცხლის აზრსა და დანიშნულებას, — თქვა ქალბატონმა მაიამ. სიტყვით გამოიხატულება კი ზურაბ ლავრელაშვილის რომანი, ის, ასე შეადგას:

ელისო ჯალანდარაშვილი:

— შესაძლოა სუბიექტური ვარ, მაგრამ მე მაინც მიმანია, რომ ეს უფრო ვრცელი მოთხრობაა, ვიდრე რომანი, რადგანაც თვით კოლხია, რომელიც ნაწარმოებში მიმდინარეობს, რომანის მასშტაბებს ვერ აღწევს, თუმცა ეს ჩემი მოსაზრება უზარალად ეანბრს დადგენის მცდელობა და სხვაზე არაფერზე მეტყველებს.

ნაწარმოებში იგრძნობა, რომ ბიბლიური პარადიგმა, ბიბლიური სიმბოლიკა მთავარია ავტორისათვის. თუმცა კი ერთი ნაკითხვით ეს არ ჩანს. პირადად მე ორჯერ გულ-სულიანად ვაიკითხე თხოვლები. პირველად ის სიღრმეები ვერ ამოვიცნა, რადგან უფრო ამბავმა გამიტაცა (მე მაინც მგონია, რომ რამდენი საუკუნეც უნდა გავიდეს, ვერაფერს და ვერაფერი შეცვლის პროზაში იმას, რომ ამბავი

აუცილებლად საინტერესო უნდა იყოს), მხოლოდ ამის შემდეგ დავინჯე ფიქრი იმაზე, რა პარადიგმებია, რა სიმბოლიკებია ნაწარმოებში, რას გვეუბნებიან მისი პერსონაჟები და რისი თქმა უნდაა მწერალს. ამ ყველაფერს ავტორი შესანიშნავად განვლავს.

თანამედროვე პროზას რომ ვეცნობით, ხშირად გვხვდება ხოლმე ფსევდოფილოსოფიური საუბრები, მსჯელობა რელიგიასზე, რწმენასზე, თავისუფლებაზე ფილოსოფიური დღესდღეობით ასე მოძალეხულ ფსევდოკულტურას მოგაკონებთ. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანი მგონია ის, თუ რამდენად შეძლებს მწერალი იყოს გულწრფელი, მისი სათქმელი ნამდვილი იყოს და არა თაქმონონების მიზნით ნაკელუცარი თუ ნადუბჭირალი.

ჩემი აზრით, ნაწარმოებში მოქმედების განვითარების დროდ საგანგებოდ არის შერჩეული XX საუკუნის დასაწყისი. ეს არის სიჭრელის ხანა — გადახვალა რწმენიდან ურწმუნოებაზე, შუასაუკუნეობრივი სისაყსიდან თანამედროვე, ფსევდოგანმანათლებლურ, გონების დამაბნეველ ცივილიზაციაზე. ამ თვალსაზრისით თხოვლებმა ძალზე მომგებია, რადგან ავტორი კარგად ახერხებს მარადიულ საკითხებზე დაფიქრებას იმ ეპოქის გაცოცხლებით, თუმცა ნაწარმოების ფარგლები ცდებდა ეპოქას და დღევანდელმთავრებს ეხმარება.

მე მაინც ვფიქრობ, რომ პერსონაჟთა სახეები ნაწარმოებში ძალზე წინააღმდეგობრივია.

ბარჯაძე, ლომოური თუნდაც ფრედ — სექსანტიკა ის თუ რევოლუციონერი? ღვთის შორწმუნება თუ ღვთის მგმობელი? ამ პარადოქსული ბუნებით იგი თითქოს სიმბოლიკა მღვიმარებისა — იმისა, რომ ადამიანი სულ უნდა ფხიზლობდეს და მოძრაობდეს.

შესანიშნავია ნაწარმოების ენობრივი ქსოვილი — ცოტა არქაისტული მანერით ავტორი კარგი, ძარღვიანი ქართული წერს და საინტერესო ხასიათებს ქმნის. ის ხასიათები პერსონაჟთა ფსიქოლოგიაა, ავტორმა თავისი მსოფლმხედველობა ამ გმირებში გადააწინაწალა მთავრით მათგანი შესაძლოა ხელიდანაც გაეცვა, არ, იმე, ლევეტოლსტოი რომ ამბობდა: რას მიმჭრება ეს ნატაშა როსტოვა, რევეს აკეთებსო”.

ბატონი გია ჯოხაძის თქმით, „ზურაბ ლავრელაშვილის რომანი დასაწყისიდანვე მიგვაჩვენებს — კერძოდ ათათურით და ეპიგრაფით — რომ „კეთილი ამბების“ ალუზიას (სწორედ ასე ეწაბდნენ სახარებას ადრეულ საუკუნეებში) ვერ ავიცდებით. ცხადია, „მღვიმარება“ ის სიფხილესა, რომელიც ერთადერთი პარადიგმა ძე კაცისა მისაღებად, როცა არ იცი არც დღე, არც საათი, მხოლოდ მოლოდინის მარადისობით უნდა იტანჯო. მაგრამ ქარ-



ზურაბ ლავრელაშვილი



თელისთვის „მღვიძარება“ თექვსმეტ საუკუნეს გამოტარებული სახეჯეცაა, ნამებული დედოფლის ერთადერთი სამკაული: „წესიერებითა საღმრთლისა ყვაოდა: მარხეთითა, მარადის მღვიძარებითა“ და ა.შ.

ბატონი გიას აზრით, „მღვიძარებით“ ჩვენი წინაშე თამაშდება, ერთი მხრივ, სახარებისეული კოლიზიები და, მეორე მხრივ, ფაუსტის შთა.

— გარდა ამისა, ისიც ვიფიქრე, რომ ჩვენს წინაშე სულაც ერთპერსონაჟიანი რომანია, როცა ყველა გმირი ადამიანის მრავალღანიანობის წარმოქმნას ემსახურება. ზურაბ ლავრელაშვილმაც თავისი დემონები გაათავისუფლა და რომანის სარბიელზე ბრძოლისკენ ნააქეზა. იმედი წყალნადებულთა ხავსი ყოფილა მუდამ და ამ რომანისაც კრთება ეს „ხავსი“ — პროტაგონისტი, საბოლოოდ, სიცოცხლის ზესთან მიდის; გადანცვეტილება მიღებულია — უნდა იფიზლოს, რომ მის სულში ამონეწეროდ ღებზე სამოთხის ბალი დაეტიოსო. — თქვა ბატონმა გიამ.

ოსებ ჭუმბურიძე:

— „ბოლო თვეების განმავლობაში ურნაღმა ჩვენი მწერლობა“ ორი რომანი გამოქვეყნა — გურამ ოდიშარას „პრეზიდენტის კატა“ და ზურაბ ლავრელაშვილის „მღვიძარება“.

ეს ორი სრულიად განსხვავებული ნაწარმოებია, მაგრამ ორივე უდავო მხატვრული ღირსებებით გამოირჩეული.

გურამ ოდიშარას „პრეზიდენტის კატა“ გვიჩვენებს, რომ თუ ხარ პიროვნება, მნიშვნელობა არ აქვს სად ხარ, სხობნაშურეთაც შეიძლება იყო სუფთა და მონობაშიც შეიძლება იყო თავისუფალი“.

„მღვიძარება“ კი გვიჩვენებს პიროვნებად შედგომის პროცესს. პიროვნებად რომ შედგე, როული გზა უნდა გაიარო; უნდა შეხვედ ლომოურს (და გაუძლო მას), ფრედის, რომელიც თითქოს არის და არც არის გიგი და მარიაც უნდა გაიცნო ყველა ეს გზა უნდა გაიარო, რათა თქვა:

„მონა ვიყავი, ახლა თავისუფალი ვარ

სამოთხე ჩემს შიგნითაა.

მე ვარ მისი მცველიც და მებატონეც“

— გინაგეს, ექიმო? — ეკითხებიან მოთარე გმირს რომანის დანაწყნით, დასასრულში კი იგი თვითონ ამბობს:

„ფრედში — ცხოში ამოსულმა ყვავილმა მისწავლა, რომ ქვეყნიერებას ფიზიკური თვალთ უნდა ვუყურო ასე მგონია, უწინადადის შერგნებით უფსკრულს მიექვამები. თუნდაც საჯაროდ, აღარ მეშინია, რადგან ვიცი, რომ სიხველემი სინათლე იძალბება.“

სინათლე უნდა დაინახო“.

რომანიც ამისთვის უნდა დანერო“.

გასაუბრება მწერალთან:

— **ბატონო ზურაბ, იქნებ გაიხსენით როდის და როგორ დაიწყო წერა?**

— ჩემი პირველი ნოველა 1989 წელს გამოქვეყნდა. არეულობის პერიოდ იყო. ორი კრებულის გამოცემა მოვასწარი და მას მერე ამ რედაქციას ვარ შემოღობებული. სხვათა შორის, წერისკენ მივიღე და სტიპენდია როსტომ ჩხე-

იძემ მომიცა, თორემ, იყო მომენტები, როცა ხელიც კი ჩავიციე ამ ყველაფერზე.

კარგია, როცა შენს მცდელობას ღირსეული შემფასებელი გამოუჩნდება. ვუსმენდი დღეს აქ გამოცემულელებს, თან მიხაროდა და თან ვფიქრობდი: კრიტიკისებმა ალბათ დამზოგეს, ხვალისთვის შემოიზინახეს-შეთქი

— **თქვენი გმირები დოსტოვესკის პერსონაჟებივით უღმერთიანი არიან. რა არის ზურაბ ლავრელაშვილისთვის ღმერთი?**

— ეგ რთული კითხვაა ერთს ვიტყვიდი მხოლოდ: ყველა ადამიანს თავისი ღმერთი აქვას. შესაძლოა, როცა ამ რომანის ვწერდი, ჩემი მიზანიც ის იყო, რომ თითოეულ ჩვენგანს თვითონ ეგონა თავისი რწმენა. ამის რეცეპტი არ არსებობს (რომანში ექიმზე იმითმ ვერ წერს რეცეპტს). ეს გზა ყველამ თვითონ უნდა გაიაროს. მთავარი ძიებაა. აქ კავებას ნაწარმოები ახსენა მაია ჯალიაშვილიმა, რატომ ჰქვია მას „პროცესი“? იმითმ, რომ კაცად ქმნა, პიროვნების გარდაქმნა პროცესია და ამ პროცესში გარანტიები არ არსებობს

ბორხესი ამბობს: ყველა განათლებული ადამიანი ლეთისმადიებულია. დაახლოებით ასე წარმოვიდგენ ადამიანის ამ გზას. საით სახვალ და სად მოქმენი იმას, რასაც ღმერთს ვუნოდებთ, აბსოლუტურად პიროვნებაზე დამოკიდებული.

— **აქ დოსტოვესკი ვახსენეთ. ის არ იყო, ასე ვთქვათ, კონფესიური მწერალი, მაგრამ ქრისტიანობას მაინც აღიარებდა როგორც უღმერთს რელიგიას?**

— იცით, რელიგია უსაკმარებლად დოგმატიკას, ბევრ სხვა რამეს ბოლომდე დოსტოვესკიზეც ვერ ვიტყვი, იყო თუ არა იგი ქრისტიანული მწერალი, რადგან ღმერთის მცებებაში ის ხანდახან უსული მონას, საერთოდ, რუსების მოიაზრებდა ან რომელიმე სხვა ღირებულებით ჩაანაცვლებდა-ბოლოდ. იმის თქმა მინდა, რომ მარტო საუბარი ქრისტიანობაზე იმას არ ნიშნავს, რომ ქრისტიანი ხარ, მხოლოდ გარეგნულ მხარეს — ვთქვათ როგორ გვანოდებს ეს მწერალი თავის ძიებებს — ვერ დავეყრდნობით.

— **რა მნიშვნელობა ანიჭებთ ფიქრობით, ესპარეზო თუ არა ის ადამიანს თვითმცემენადში?**

— ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, თუ არსებობს, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ კლინიკური კვლევის დონეზე. რომანშიც ასეთი დასკვნაა — ფსიქოლოგია ვერ სთავაზობს პერსონაგს გამოსავალს, პრობლემის გადაჭრის გზას. აქი ამიტომაცაა, რომ ნაწარმოებში ექიმი ხელს იღებს თავის პროფესიაზე

— **საყვარელი მწერლები თუ გყავთ?**

— ქალბატონმა მაია ჯალიაშვილიმა ნამდვილად გამომიჭრა, როცა მიხვილ ჯავახიშვილი ახსენა.

ისე ალბათ კითხვა ასე უნდა დაეცხეთ: ვისგან ვსწავლობდი? ვსწავლობდი ყველასგან, ვინც ვგავსენდათ ამ ნაწარმოების ინტერპრეტაციისას. იცით, მე ვფიქრობ, რომ სექსემპი არა, ეს სიტყვა არ მომწონს

— **მიოდელი**

— დიბს, მიოდელი არ იცვლება. ოსებ ჭუმბურიძემ აღნიშნა: კაცად ქმნის პროცესი ერთი და იგივე ყველასთვის, მას ვერ აცდები, ეს გზა ყველად უნდა გაიაროს.



ლიტერატურაშიც ასეა. შესაძლოა ვიღაც სხვანიარად ფიქრობს და პგონია, რომ რაღაც ახალს ქმნის, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველა დიდ მწერალს ერთი და იგივე მოდელი აქვს - ერთი და იგივე მიმართება სამყაროსთან და ისინი, შესაძლოა სხვადასხვა კუთხიდან, მაგრამ ერთსა და იმავე პროცესს აღწერენ

- გადაიკითხვა თუ გიყვართ ნაწარმოებებისა და ყველაზე ხშირად ხელს რომელი ნივინ მოგყვებათ-ხოლმე?

- ეს რაღაც ანემებასავით არის ჩემთვის. არის მოქმენტები, როცა „ვეფხისტყაოსანს“ არ ვუმეგბე ხელიდანი, ზოგჯერ სხვა ნივინ გამიბატებს როგორც ჩანს, ეს ყველაფერი კონკრეტულ ამოცანას უკავშირდება - როცა რაღაც საკითხზე ვფიქრობ, რომელიღაც მწერალთან ექვებ პასუხს

- თუ არსებობს სიუჟეტის პროტოტიპი?

- კი საერთოდ ამ რომანის დაწერის პროვიცილება ბატონ როსტომს და ოთარ ჩხეიძეს უკავშირდება. თავის დროზე ფურნალ „კლდეპარის“ ერთ-ერთ ნომერში ამოვიკითხე ამ პიროვნების შესახებ, რომანში სამი რეალური პერსონაჟია - სიუჟეტის, მისი შეილობილი და მოურავი. ფრედი მე გამოვიგონე.

- წლების ნინათ ზურაბ ლავრელაშვილის სამწერლო დებიუტს დადებითად გამოეხმარება ბატონი ჯემალ ქარჩხაძე.

ეს მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი შეფასება იყო

- ამ მწერალს ძალიან ვაფასებ. ჩემი აზრით, მან ქართულ ლიტერატურაში ე.წ. ინტელექტუალური ხედავა შემოიტანა - რომანტიკული საბურველისგან გათავისუფლდა პროზა და თავისი ნაწარმოებების გმირებად იდეები აქცია.

სამწუხაროდ, ის პუბლიკაცია მე არ მინახავს. რამდენდაც ვიცი, ერთ-ერთი ინტერვიუში ის ახალგაზრდა მწერლებს შორის გამომარჩევს. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი შეფასებაა და როცა გავიგე ამის შესახებ, ძალიან გაამიხარა. ბატონი ჯემალის ისე ნაფედა ამ ქვეყნიდან, ვერც მადლობა ვუთხარი და ვერც პირადად გავიცანი.

პაატა ჩხეიძე:

- მინდა რეალისტური ნაკადი გამოვარჩიო ამ რომანიდან.

ვიცი ატენის ხეობა იცის, ვისაც იქაური გარემო უნახავს, მიხვდება, რომ ავტორი თითოეულ კუთხე-კუნჭულს იცნობს და ამ ყველაფერს ძალზე კარგად აღდ-

გენს მკითხველისათვის. ნებისმიერ ატენელს რომ ჰკითხოთ, ზეზმანი როგორ არ ვიციო, - გიპასუხებთ. ის მართლაც რეალური პიროვნება იყო, ჰქონდა ხე-ტყის ბიზნესი, ამ ხეობაში ვინარეა დაგვიანი რეკონსტრუქციები და პარალელურად ატენიდან გახიდა, რაც კი რამ ჯიშის ხე-ტყე იყო.

ნაწარმოებში აღწერილია მდინარე ტანა და, ცხადია, ასოციაციით ნიკო სამადაშვილის შემოქმედებას გადავდებთ. ზურაბ ლავრელაშვილს კი ამ პაატას მდინარის სახელი უკვე მეორედ შემოაქვს დიდ ლიტერატურაში. საერთოდ, რომანში დეტალურადაა აღწერილი ხეობა

თვით ისეთ ნიუანსებამდეც კი, როგორც არის ე.წ. „მაციერები“ - მღვიმეები, სადაც მუდმივად ერთი და იგი ტემპერატურაა და ატენელები იქ დღისისა და სურსათ-სანოვაგეს ინახავენ. ბარჯაქები კი დღესაც ცხოვრობენ იმ ხეობაში

ნათელა არველაძე:

- ერთი რამ მინდა ვუთხრა ავტორს: ნუ მიაქცევთ ყურადღებას ამდენ ასოციაციებს, რაზეც კრიტიკოსები საუბრობენ. XXI საუკუნეში მესსიერების, კულტურისა და ცოდნის შლიეფი დიდია. გინდა თუ არა, ის მინც მოგდევს და ნინაც გისწრებს. პირადად ჩემთვის მთავარი ის პასაჟებია, რომლითაც ავტორი მიველ სამყაროს გისწინს.

მია ჯალაშვილი



აი, მაგალითად, როცა ერთ-ერთი გმირი უცხოელზე ამბობს: რაკი ანგარიში, გამისწორა, მისთვის უკვე აღარაფერს ნარმოვადგენდიო. ვფიქრობ, ძალზე საინტერესო პასაჟია - როგორ დაინახა მწერალმა უცხოელი უცხო გარემოში

თორნიკე თევზაძე:

- ზურაბ ლავრელაშვილის შემოქმედება ჩემთვის ინდივიდუალური სამყაროა, რომელშიც ძალზე რეალისტური პერსონაჟები ცხოვრობენ. ხშირად მინახავს ფრედის-ნაირი ადამიანები, ცივილიზაციას რომ უპირისპირდებიან. ფრედი, შესაძლოა, თავისუფლების სიმბოლოა კი იყოს ამ ნაწარმოებში.

რომანი ქრისტიანული სულისკვეთებით არის გამსჭვალული. მასში ასევე მნიშვნელოვანია სოციალური თანასწორობის იდეა, რომელსაც ფრედი იდეალურად მიიჩნევს.

ჩემი აზრით, ეს რომანი გადაჯაჭვულია მწერლის სხვა ნაწარმოებთან - „მღვიმარება“ ზურაბ ლავრელაშვილის მინიატურებისა და ნოველების გვირგვინია. მინდა მადლობა ვუთხრა ფურნალს „ჩემი მწერლობა“ ასეთი საინტერესო ავტორი რომ აღმომაჩინა.

ანა გუნია

ქართული კინემატოგრაფიის მომავალი

შარშან შემოდგომაზე, 7—13 ნოემბრის ჩათვლით თურქეთის ქალაქ ყარსში რიგით მე-14 ყოველწლიური ევროპული კინოს ფესტივალი "Festival on Wheels" ჩატარდა, რომელშიც თბილისის შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ.

ქართველების თანამშრომლობა "Festival on Wheels"-თან 2007 წელს დაიწყო, როდესაც კინოს რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ ლევან ბეთაგურამ და ანკარის კინო-სკოლამ მიიღეს გადაწყვეტილება აქტიური სტუდენტები ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად წაეყვანათ. მაშინ ოთხი სტუდენტი შეირჩა, რომლებიც თეატრალური უნივერსიტეტის სრული პროფესორის ჯია გერსამიას ხელმძღვანელობით ყარსში გაემგზავრნენ. 2007 წლის კინოფესტივალის ფარგლებში ქართველებმა მოკლემეტრაჟიანი და კუმენტური ფილმი გადაიღეს, სახელწოდებით "ყარსი და ყველი", რომელიც თურქეთში ყველის დამზადების ტრადიციას ეხება. ფილმი ყარსში ერთ-ერთი ფაბრიკის მებატონეა გადაღებული, რომლის ბაბუამაც, როგორც ირკვევა, საქართველოდან თურქეთში ყველის დამზადების ტრადიცია ჩაიტანა. 2007 წლის ყარსის კინოფესტივალზე ქართულ გადაღებებზე ჯგუფს შეადგენდნენ: ანა ჩერქეზიშვილი (რეჟისორი), დავით ჩიტაია (თანარეჟისორი), ვახტანგ ავალიანი (ოპერატორი) და ალექსანდრე ხარანაული (ოპერატორი), ჯგუფის ხელმძღვანელი - პროფესორი ჯია გერსამია.

წელს, თბილისის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტიდან ქართველ სტუდენტთა განახლებული შემადგენლობა, კვლავ, გაემგზავრა თურქეთში. ამჯერად, ისინი უკრაინულ და სომეხ კოლეგებთან ერთად ფესტივალის ფარგლებში მონაწილე პროექტში "ოცუტრაველ" იღებდნენ მონაწილეობა. ქართველებს მოკლემეტრაჟიანი ფილმი უძევებს ისტორიულ თურქულ ქალაქზე, ანისზე, უნდა გადაღდეთ. ფილმის რეჟისორის ანა ჩერქეზიშვილის განცხადებით, ანისში გადაღებებმა გარკვეული პირობებებით ჩაიარა. მოგსახეობთ ქალაქი ანისი თურქეთისა და სომხეთის საზღვარზე მდებარეობს,

რაც, თავისმხრივ, გადაღებისას პრობლემებს ქმნიდა. ქართველები თურქეთში 7 ნოემბერს ჩავიდნენ, მაგრამ 10-მდე ანისში ჩასვლა გადაღების უფლების არქონის გამო, ვერ მოახერხეს. 10 ნოემბერს ანისში პირველი ექსკურსია შედგა და ქალაქში 4 საათი ყოფნის განმავლობაში გარკვეული კადრების გადაღება მოასწრეს. ოფიციალურად, გადაღების დღედ 11 ნოემბერი იყო დანიშნული. ქართველებს ფილმის გადაღება დილის 9 სთ-დან საღამოს 6 სთ-მდე უნდა მოესწროთ, აღსანიშნავია, რომ გადაღებებზე ჯგუფს ანისში გადაღებებზე შტატების გამოყენების უფლება არ შექონდა, რადგან სომეხ მესაზღვრეებს შეიძლებოდა ის სანიპერში შემოღობათ ცეცხლი გაეხსნათ. თავიდაპირ კვლავ, გადაღებები, მართლაც, შტატების გარეშე მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ, ჯგუფმა ჩუმადმეტრალი ფოტოშტატების გამოყენება მაინც მოახერხა. გადაღებების დასრულების შემდეგ, ქართველებმა ფილმი, ასევე, ერთ დღში დამონტაჟეს. გადაღები ჯგუფის წევრები იყვნენ: ანა ჩერქეზიშვილი (რეჟისორი), დავით ჩიტაია (თანარეჟისორი), ირაკლი ახალკაცი (ოპერატორი), გიორგი ბაიადური (მემონტაჟე), ჯგუფის ხელმძღვანელი — სრული პროფესორი ჯია გერსამია.



ანა ჩერქეზიშვილი

გერსამია. ქართველმა კინოხელოვანებმა თავიანთი ფილმი ანისზე ნიკო მარის სხოვნას მიუძღვნეს, რადგან მან უძევალეს ქალაქში არქეოლოგიური გათხრების შედეგად უამრავი ძეგლი აღმოაჩინა და ამ თემას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა. ანისზე ფილმის გადაღებით და შემდგომ, ამ ფილმის გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნით გადაღები ჯგუფის წევრებს სურდათ საზოგადოებისთვის ცნობილი გაეხადათ, რომ ანისი, ფაქტობრივად, ნიკო მარის აღმოჩენილია.

ანისზე გადაღებულმა ფილმმა ფესტივალის ორგანიზატორებისა და მასურებლების მონონება დაიმსახურა. მათ ის "დოკუმენტური" მონაწილე ფილმებს შორის ყველაზე მხატვრულად შესრულებულად აღიარეს. ყარსში ყოფნის განმავლობაში, ქართველებმა კიდევ ერთი ფილმი გადაიღეს. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტმა გიორგი ბაიადურმა დამოუკიდებლად ექსპერიმენტალური ფილმი სახელად "მალღი" გადაიღო. ის ყარსის ქუჩებში მონაწილე ძაღლის შესახებაა და ორიგინალურად არის გადაღებული. ამ ფილმის პრემიერა "Festival on wheels"-ზე გაიმართა, თუმცა, ის ჯერ დასრულებული არ არის.

"Festival on wheels"-ის ერთ-ერთი პირი თურქულმა ფილმმა "გაზაფხულმა" აიღო, რომელშიც ორი ქართველი მსახიობი: ნინო ლუგვა და მგვი კაკაბაძე თამაშობენ. საქართველოში ამ ფილმის პრემიერა საერთაშორისო კინოფესტივალ "პრომეთეზე" იგეგმება.

ყარსი ქართვლებმა 14 ნოემბერს დატოვეს. თბილისის შირა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი შემდგმ ნელსაც აპირებს თურქულ კინოფესტივალთან თანაშრომლობას.

როგორც ზემოთ აღნიშნა, ყარსის ფესტივალზე გადაღებული ფილმის "ანისის" რეჟისორი ანა ჩერქეზიშვილი გახალხთ. იგი თბილისის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის, დოკუმენტური კინო-რეჟისურის მე-4 კურსის სტუდენტია. მან უკვე ექვსი მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადაიღო. მის მიერ 2007 წელს გადაღებული ფილმი "7 წელი ბომბთან"

ინტერნუსის მიერ მონაბილ კავკასიურ კინოფესტივალზე 21 ფილმს შორის საუკეთესოდ აღიარეს. ფილმში საქართველოში მცხოვრები ბომბების სოციალური პრობლემებია ასახული. ანას თქმით, გ ა დ ე ლ ე ბ ე მ ა ე ნ ა ს ტ რ ე მ ა ლ უ პ ი რ ო ბ ე ბ მ ი წ ა ი ა რ ა, რ ა დ გ ა ნ ს ა მ ე ა ო დ რ თ უ ლ ი ი გ ო ბ ო მ ე ბ ის, რ ო მ ლ ე ბ ი ც ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ძ ი რ ი თ ა და დ მ ა თ ო გ რ ო ბ ი თ ა რ ი ა ნ დ ა კ ა ვ ე ბ უ ლ ი ნ, და თ ა ნ ხ ე მ ბ ა



ანისი

გადაღებაში მონაწილეობაზე. ფილმში, ძირითადად, მოდოველი ბომბები არიან გადაღებული, რომლებიც სოფელ გაჩანაში ცხოვრობენ და ყოველდღე მატარებლით თბილისში სამათხოვროდ ჩაიშლიან. ანა და მისი გადამღები აკუსი ბომბებს სახლში, გაჩანაში, ესტუმრნენ. როგორც აღმწერს, ბომბებს გადაღებებში მონაწილეობისათვის თავიანთი ბარონისაგან სპეციალური ნებართვა ესაჭიროებოდათ. შექმნილი პრობლემების მიუხედავად გადამღებმა ჯგუფმა მაინც მოახერხა ფილმის დასრულება, რომელიც საკმაოდ საინტერესო გამოდგამს. ფილმი მრავალ სოციალურ საკითხს ეხება. მავალითადა, როგორც ირკვევა, ბომბები მიღებული ნესის მიხედვით მხოლოდ ქალები მუშაობენ (მთავრობენ), ხოლო, კაცები სახლში სხედან და მყუდროებაში მყუდლეებისა და შვილების მიერ მოპოვებულ სარჩოს ელიან. ფილმმა კონკურსზე დიდი მონაწილეობა დაიმსახურა და სამართლიანად აიღო გრანპრი. "7 წელი ბომბთან"-ის გადამღებ ჯგუფში შედიოდნენ. ანა ჩერქეზიშვილი (რეჟისორი), ორბან აგასაძე (თანარეჟისორი), რამაზ გიორგაშვილი (ოპერატორი).

ანა, აგრეთვე, ამა წლის 2-24 აგვისტოს სერბეთის ქალაქ ზღატორში, მონაბილ სერბთაშორის სტუდენტურ-სარეჟისორო ბანაკშიც მონაწილეობდა. სერბეთში მყოფი რეჟისორებიდან 4 გადამღები ჯგუფი შედგა, რომლებიც ახალგაზრდობის თემაზე სხვადასხვა დოკუმენტური ფილმს იღებდნენ.

ანამ მექსიკელ ოპერატორთან ერთად დოკუმენტური ფილმი "უსასრულობა" გადაიღო, რომელიც ბანაკის

ფარგლებში გადაღებულ ფილმებს შორის ყველაზე წარმატებულად ჩაითვალა. ფილმმა განსაკუთრებული მორწინება თავისი ვიზუალური და იდეური გადამწყვეტი დამსახურა. ცნობილია სერბმა რეჟისორმა დრეგან ელჩიჩმა ანას ფილმით თავისი აღრთვაგება არაერთხელ გამოხატა და ქართულ კინოსკოლას ერთერთი საუკეთესო უწოდა.

ანას კარიერაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოკლემეტრაჟიანი ფილმი რეჟისორ დიტო ცინცაძის მიერ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ჩატარებულ სემინართან არის დაკავშირებული. მან სტუდენტებს ციფრ 3-თან დაკავშირებით მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღება დაავალა. სტუდენტების მიერ დანერილი სცენარებიდან რვა საუკეთესო შეირჩა, მათ შორის ანასიც. ანამ თავის ფილმს პირდაპირ "3" უწოდა. ეს ციფრი ფილმში სამი პერსონაჟის სახით არის წარმოდგენილი, რომელთაგან ერთერთი და ერთადერთი მძედრობითი სქესის

წარმომადგენელი მანიაკია. იგი ბარში კავაქერთან ერთად იმყოფება, ამ დროს კი წარმოსახვაში ექვე მყოფ მამაკაცს ანამებს. ანას თქმით, მსახიობები ფილმში ძალიან კარგად თამაშობდნენ, განსაკუთრებით მან მანიკის როლის შემსრულებელის წათია გელაშვილის თამაშის გამოაყო, რომელიც იმდენად შევიდა სადისკის როლში, რომ წამების სცენების გადაღების დროს მსხვერპლის როლის შემსრულებელი ლუკა მუხიგული კინალამ სერიოზულად დამაშადა. "3"-ის პრემიერა თეატრალურში შედგა და დიტო ცინცაძის სემინარების DVD კრებულში დანარჩენ რვა ფილმთან ერთად შევიდა.

ანას ფილმებიდან, ასევე, აღსანიშნავია 2006 წელს გადაღებული მიატრულ-დოკუმენტური ფილმი "ბალიტზე" სახელწოდებით "თავისუფალი სული". ფილმი ბალტინაზეა, რომლისთვისაც ბალიტის გარდა სხვა სამყარო არ არსებობს. ანას თქმით, იგი შეეცადა აღწერა ხელოვანთა სიმბოლური ისტორია, რომლებიც თავიანთი შემოქმედების მიღმა იკარგებიან.

ქართულ კინემატოგრაფს წარსულში დიდი აღიარება ჰქონდა, სამწუხაროდ ანაკვე ვერ ვიტყვით ჩვენი კინოს დღევანდელ დღეზე, ამ ფონზე კი განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი პერსპექტიული ახალგაზრდა რეჟისორების გამოჩენა, როგორც ანა ჩერქეზიშვილი. ეუსურეთი ანას და სხვა ახალგაზრდა ნიჭიერ კინოხელოვანთა თვითი საქმიანობაში წარმატება, ზოლი ჩვენ გულისყურით დავულოთ მათ მიერ შემოთავაზებულ ახალ და საინტერესო კინო-პროექტებს.



გივი ალხაზიშვილი

დღიურის ზრახვინტაბი

გარდაიცვალა გიგლა სარიშვილი... "მსკვედია ბეჩაე იერემია, დასდევდა სიღარიბის ფიხი, მიწანიმც დაილოცებინა, შიშველი მაგიმალა ხორცნი" ...

მიდიან, მიდიან... სად მიდიან? ალბათ, იქ უყუთესია, სადაც მიდიან. რამდენი რამ დამიგროვდა სათქმელ... თითქოს ჩემს თავს აღარ ვეკუთვნის. უფრო ხსოვნას ვეკუთვნი და უშკატრეს მოვალეობას გარდაცვლილი მეგობრების წინაშე... იყო დრო, როცა ერთად ვიყავით. არის დრო, როცა ერთად აღარ ვართ. მოვა დრო, როცა ერთად ვიქნებით. "წელი ათასი, ვითარცა დღე ერთი."

ჩვენ პირობითობის ოკეანეში ვტივტივებთ. მე ისევე ვტივტივებ...

P.S. თედო, სოსო, გიგლა... შემდეგი?

28. 12. 94 წ.

მათხოვრის განვდილი ხელი უფრო დიდ სიძარტლეს მესუბნება, ვიდრე ის ხელი, ტელეკრანთან გაბედული მოძრაობით რომ პირველად გადაიხასხავს.

გულისჯიბებში ხელი ჩააცურა, ხატი ამოიღო და აკოცა, პირველი გადაიხასხა და გვაუნა, რომ ხატი მუდამ ჯიბით დააქვს. მერე კი უფერად დაიქოქა, აიწვევს და დაუსუო ვიღაცებს ლანძღვა, დამცირება, აბუნად აგდება. პოეტია ახლა ეს?!

გამახსენდა, ერთხელ, რამდენხანს მიმტკიცებდა, რომ მისი ლექსების კრებული როგორ გამოვიდა მრავალათასიანი ტირაჟით პარიზში და მთელი ტირაჟი მყისიერად გაიყვალა.

არ დაუფერე, ვიცოდი რომ მატყუებდა. საფრანგეთში საუკეთესო პოეტის წიგნს ტირაჟი არ აღემატება ხუთას ეგზემპლარს. არ შემომწნევია, რომ ვიცოდი მისი ცრუპენტლობა. თავს ლაღად ეუწუებდა. მანამდე მაინც გაიხაროს საკუთარი ტყუილით, ვიდრე თავს დაედებდეს ბალიშზე და მარტოობაში გაიხსენებდეს საკუთარი განდიდებისთვის აღუღენილ ტყუილებს.

16. 1. 95 წ.

მიგლეფეფე უნამუნოს წიგნი "სულის სიღრმეში" ჩაება-რეთი საშაბას. ვნახოთ, როდის დაბეჭდვენ?!

დრო აღარ გამყავს, უფრო საქმიანად ვცხოვრობ. უსაქმრობა უაზრობას ნიშნავს ჩემთვის და ამიტომაც ტრაგეიკულად განვიციდა...

შემა მითაუგება და რაღაც უნდა ვიღონო... დამიბრუნდა დროის შერძინება, ანმყოს ვუფრთხილდები, მენახება და კარგული დრო.

უცნაური აღმოჩენა: ზოგჯერ ამჟამად ვგრძნობ - ისევე მივირდებინა, მსწავლობენ საგნები, როგორც მე ვაკვირდები და ვსწავლობ მათ. ამგვარი უსიტყუო ურთი-

ერთობა ძალიან პგავს თვალებით საუბარს, იმ განსხვავებით, რომ ჩვენი თვალები ერთმანეთს არაფერს ეუბნებიან. ჩვენი საკონტაქტო უნა შერძინებათა სამყაროა და კიდევ სხვა რაღაც, რასაც სახელს ვერ ვარქმევ.

მეც და ყოველივეს, ირგვლივ რომ არსებობს, წარსული და აწმყო, ერთად ცხოვრება გვაკავშირებს, ჩვენი სიცოცხლე ერთად მიედინება.

გამოცდილება წარსულს ირჩევს საყრდენად და არა უცნობ მომავალს, ამიტომაც, გამოცდილება საიმედოა და მკვიდრი, მაგრამ არასაკმარისია და გარკვეულწილად საშიშიცაა პოეტისათვის.

7. 2. 95 წ.

ყველაფერი ჩამკვდარია. ვფიქრობ, ვეძიებ, ვწერ. ვერ ვეგუბი უსაქმრობას, უმიმდობა კი არ არსებობს ჩემთვის. რა ჩემი თავმოსაცემია ხელისუფლება და ზრაცხევის გაბმული ყაყინი. ვაი, რომ უნებლიეთ მაინც შემოქმედებს ჩემზე ეს აბსურდული ყოფა.

განდგომილად ვცხოვრობ. ვცდილობ პოლიტიკისგან თავი შორს დავიჭირო. ესენი წაუღენ, სხვები მოვლენ, მერე რა?! შეიცვლება რამე?! მაშინაც და ახლაც ჩვენი მიზანია კეთილი საქმის კეთება.

8. 2. 95 წ.

თანდათან გროვდება ახალი წიგნი. ალბათ რაღაც გამოვა. ერთადერთი, რაც მანუბებს - მოლოდინის შეგრძნება. თვითონ არ ვიცი რას ველოდები. მგონი სიღუფიდან და მუდმივი საზრუნავისგან თავდახსნას ვეცდი. ასეთი დრო, ალბათ, არასოდეს დადგება, მაგრამ ზომ შეიძლება ცოტათი მაინც გაუმჯობესდეს?! ვნახოთ...

10. 2. 95 წ.

პეიზაჟი თავისთვის ცხოვრობს, იქით არავინ იხედება, ნავახიანი კაცის გარდა.

დავამზადე ცოტაოდენი შეშა და სახლში ჩამოვიტანე. გადავიღა. ხეალ ორშაბათია. ისევე დაინყება ორშაბათი და ცრუსაქმიანობა.

თანდათან მძაფრად ვგრძნობ ანმყოს სიყვარულს. მინდა ყოველი მიმდინარე წუთი განვიცადო, შევისის-ხლხორცო, ვიგრძნო პოლომდი. მენახება დრო ძილისთვის. ხეალ კი ადრე ვარ ასადგომი.

ცოტას გადავიკრავ. დალილოზე კარგია.

12. 2. 95 წ.

ყველა გაჭირვებას უნდა გავუძლო. დამშიდდი გულო! ის დღეც მოვა. მე შესაძლოა ვერ მოვესწრო, მაგრამ მწამს მოვა. ყველა გაჭირვებულს მინდა ხელი გავუშარო, მაგრამ ვი, რომ არ შემოძლია. თავი ძლივს გამაქვს, მიუხედავად ამისა სინდისი შექვნი. თითქოს მრცხვენია, რომ ცოცხალი ვარ, ვარსებობ. რაღა სიცოცხლეა, როცა ძალაც არ შემწმევს ვინმეს მივეშვლო, გვერდით დავუდგე...

23. 2. 95 წ.

გადის თებერვალი. გავდივარ მე, სახლიდანაც. მოდის მარტი. მოდის ვიღაც, თითქოს ნაცნობი, მაგრამ ჩემთან არ მოდის თურმე...



მარადიულად იცვლება რალც და რალც მუდამ რჩება უცვლელი.

უნდა დადებრუნდე, რადგან იქით ფიქრის გზაც კი აღარ არსებობს.

28. 2. 95. 5.

ლამე არ უნდა გაგრძელდეს. ის დასრულდება უნათ-
ლეს დილით.

სადა ხართ ძმებო?! უთქვენოდ მიჭირს.

დაცარიელდა ეს ქალაქი.

სიმშვიდე მხოლოდ წარსულში ცხოვრობს...

ლამით, ზოგჯერ იბადებიან ცეცხლის ენები და სიტ-
ყვები წვევივით დაუნანებლად.

თურმე მე ვინევი საკუთარ ცეცხლში და ნაცრად ყოფ-
ნას ვაჩვენე ჩემ დღევებს.

29. 2. 95. 5.

განსხვავება ინტელექტუალურ და "განმსჯელ" პოეტს
შორის /ტომას ულიოტი - მეტაფიზიკოსი პოეტები/...

სხვაობა დიდია პოეზიასა და განსჯას შორის. გან-
სხვავება თითქმის ისეთივეა, როგორც პოეზიასა და ფი-
ლოსოფიას შორის.

22. 7. 95. 5.

როგორც ვატყობ, მხოლოდ ლირიკით, მხოლოდ მედი-
ტაციით შემოვარგვლა ერთფეროვნების საშიშროებას
მიქმნის; არადა იქ უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს.
არც მხოლოდ გული და შთაგონებაა საკმარისი, თურმე
მთავარია. უწინმწველოვანესია წარმოსახვა, შემოქმედ-
ებითი იმპულსების ამოურსრავი წყარო.

ბოდლერი, თავის ესეიმი გოტიეზე, სწორედ ამას აღნიშ-
ნავს: შესაძლოა გულში იყოს ენება, ზოროტება, და კიდევ
ათასი რამ, სიკეთესთან ერთად. ამიტომ იგი /ბოდლერი/ მხო-
ლოდ გულის მნიშვნელობას პოეზიაში განიხილავს, როგორც
არასაკმარისს და უპირატესობას ანიჭებს წარმოსახვის
უნარს, როცა დახვეწილი გემოვნება ანესროგებს ტექსტს.

5. 5. 96. 5.

მივალნევე სამსახურამდე და დაინყება ყოველდღიური
ერყვროვნება, უაზრობა, მონოტონური ყოფა. ამ მოსაწყენ
და გულისაძრევე ვითარებაზე მიზნული ვარ ხელფასით. ვფიქ-
რობ, როგორ დავაღწიო თავი. ყვერყვრობით გამოსავალი არ
ჩანს. უნდა გავუძლო, სხვა გზა არ არსებობს, სამწუხაროდ.

7. 5. 96. 5.

ზეალ მუხათწყაროში ნაველ. ნაველებ ნასახემსებელს,
ავტოკლავს, რვეულს, სასხლავს, ხერხსაც.

შემოვუბარავ ხეიწლს, შევაკლო ხმელ ტოტებს... იქ-
ნებ, რამე ჩავინერო კიდევ. ვნახოთ.

მენანება — ეს დღე რომ დაღამდა.

10. 5. 96. 5.

გაუმრი მუხათწყაროში ვიყავი. აკვავის ყველაფერი,
აჭმები, ქლიავები, მსხლები, ბლები და ა. შ.

მაღე აყავადებიან იასამნები, ვაშლები, კომშები.

ბუზარი მაინც ავავუზუზუ, საწთილიც დავანთე და
შევედექი შრომას.

თითქმის ყველა ხეს შემოვუბარე, ვაზი გაესხალი,
ახალგაზრდა ნერგები ჭიგოზე ავაკარი. აქ მაკარი ქარი
იცის და თუ ნერგებს არ ავაკრავ, ვერ გაიხარებს.

ერთი დიდი თავგულია ეს ეზო. ხეები წამოიხარდნენ,
მხრები გაშალეს, ცისკენ აინიეს. შევეძლებ კი აქ მარტო
ცხოვრებას?!

12. 5. 96. 5.

ჩამოუარა ჩემს თაობას სიკვდილმა: თედო, სოსო,
გიგლა, ზადრი ჭიხონელიც, ახლა კი გიორგი ბაქანიძე,
ჩვენი იურა — იგივე ბრატის, მოდი და ნუ დაფიქრებები, ნუ
შეგეშინდება, შემკრთალი ნუ მიმოხივდავ. ვეგამლ აჯან-
ვილმა ცრემლმორქუმა მითხრა: მაგონი, ჩვენლა დაერჩი-
თო. ჩვენი სტუდენტური საძმბატადან, მართლაც რამ-
დენიმე დაგრჩით. რა აზრი აქვს ჩამოთვლას. ცოცხლები
უფრო ცოტანი ვართ, ვიდრე გარდაცვლილები.

3. 6. 96. 5.

მთელი დღე ბრატის სახლში ვიყავი. საცოდავი ბრატის.

ჯერ მისლა მიჭირს იმ სახლში, მერე იქიდან წამოსვლა.
მოდიან ჩვენები — მოტებილები, შეცვლილები, ყურბნა-
მოყრილები. ირინე და ლუკა მებრალბა. უფრო მეტად
ლუკა, იმიტომ რომ პატარაა და საშინლად განიცდის მა-
მის სიკვდილს, ოთახშია შეეკრული. სად არ დაჰყავდა მა-
მამისს, გვერდიდან არ იმირებდა. თევზობას შეაქვია და
ერთად დადიოდნენ სათევზაოდ. ირინე ბევრად უფროსია
ლუკაზე. პატარობისას ჩემთან, ზორჯომის ქუჩაზე — კი-
სერზე შესემლი მოჰყავდა ბრატს, წასვლითაც ასე მიდი-
და, ირინეს კისერზე შეისვამდა და მიუყვებოდა გზას მა-
ლაკნებისკენ, სადაც მამინ ცხოვრობდა.

5. 6. 96. 5.

რა მნიშვნელობა აქვს რა და ვინ მოჩანს, მთავარია ის,
ვინც არ მოჩანს და ყველგან არის.

მივალ მეტრომდე ზაქაპურების ორღობის გავლით.
ყველაზე მეტად მაინიებს სიმშვიდე.

თქვენი თვალები მეცხადებიან და ძალს მართმევენ.

14. 10. 96. 5.

ბზის და ცაცხვის ყვავლთა სურნელი საშობის სუნ-
ტევაა, თითქოს სხვა სამყაროში ვხვდები.

ჰაერი დაფარულ შესაძლებლობებს ამჟღავნებს ბზისა
და ცაცხვის ყვავილობისას და განსხვავებულს, როცა
ფმატი ნიავს ატანს ღამეულ სუნტეკას.

15. 10. 96. 5.

არის განცდა, რომლის გადმოცემასაც ვერ ვახერხებ,
სიღრმეცა ვერ ვწვდები, ვგრძნობ მხოლოდ მის მნიშვნე-
ლობას, როგორც მზის ნამცეცი მზეს, როგორც წვეთი
ოკეანეს და ა. შ.

ეს ის განცდაა, დროდადრო რომ მეუფლება და ძალს
მმატებს. თუკი შევძელი მისი ახსნა, ალბთ დაეკარგავ იმ
წყაროს, სულს რომ ასაზრდოებს.

28. 10. 96. 5.



უმყუდროესი სახლი. ფანჯრები ცით გადაცხებული და სიკუცხლის ხმები, შორიდან რომ აღწევენ დროს ვარემუ დაჩრქნილი სახლში.

თუმცა, იქნებ, სახლი კი არ დგას უფრობაში, არამედ შენი, ვინც გაუცხებელი თვალისით თუ გაუცხოებელი სულით აღსახეს თვალეშით რეალობას დაპყრებ შორიდან და იმ რეალობაში აღმოჩენი საკუთარ სხეულსაც – უაზროდ მოზორიალესა და ზედმეტს.

29. 10. 96 წ.

გუმინ, "დილის გაზეთში" დაიბეჭდა ვინმე ეზუბაიას უმწიფო წერილი. ეს უცნობი ეზუბაია თვლის, რომ ქართული პოეზია გარდაიცვალა, აღარ არსებობს. ასკენის, რომ გალაკტიონის მერე აღარაფერი დაწერია პოეზიაში, ახლა ჩვენი მოვალე და ყველაფერს თავიდან დაეინცებოთ პოეზიაში. გამაღიზიანა უფიცი უცნობის დიდგულობამ და პასუხის ღირსადაც არ ჩავთვალე.

ერთი რამ კი მინდა ჩავიწერო. როდემდე იქადაგებენ, რომ გალაკტიონის მერე არაფერი დაწერილა პოეზიაში?! ჩემს თავზე ვერაზობ, რატომ უნდა მაღიზიანებდეს ვიღაცის ბუტბური?! დაველოდები, როდის ამობრწყინდება ქართული პოეზიის ცაზე – "დემონი" ეზუბაია?!
16. 2. 97. წ.

ახალი წიგნის გამოცემას ვაპირებ. ამ კრებულში შევა 95-97 წლებში დაწერილი ლექსები.

მეჩვენება რომ ურიგო წიგნი არ იქნება მთლიანობაში. ამ წიგნის გამოცემა უფრო იმიტომ მინდა, რომ გავთავისუფლო მისგან და რაღაც ახლის ძიება დავიწყო...
საერთოდ კი ყველა პოეტური კრებულის თითო-ორილა მკითხველისთვის ინერება, უფრო მომავალ მკითხველს ველოდები, მაგრამ, როგორც ჩანს, პოეზიას მკითხველი თითქმის არ ეყოლება.

მე მაინც ვაგრძელებ. სხვაგვარად არ შემიძლია. თუ მთლიანად არ გადახალისდა ტროპი, ახალი ინტონაციები თუ არ გაჩნდა, ახალი სიმძაფრე და დინამიკა არ შეიძინა სიტყვითა დინებამ – დავიტყპავები.
უნდა შევეშვა საკუთარი აღმოჩენების გამოვრებას, ვარაგებებს.
5. 9. 97 წ.

"გამოსვლა უფრობიდან" – ასე ერქმევა ჩემს ახალ წიგნს.

ლექსების თანმიმდევრობა დასაზუსტებელია. "გამოსვლა უფრობიდან" განსხვავებული წიგნია. მომავალი ისევე ახლის ძიება მომიწევს.

7. 9. 97 წ.

სისულელეა ყოველგვარ ლიტერატურულ პრემიაზე ფიქრი. ეს რა უპატიებელი ამბიციაცა გამიწინდა.

წინ სიახლეებისკენ. რა აზრი აქვს ესენი შევამჩნიევენ თუ არა?!

აღბათ, გული უსამართლობის გამო დამწყდა, მაგრამ სხვაგვარად როგორ გინდა ამ საწურობიში?!

ამ წარუმატებლობებს უდადესი მნიშვნელობა აქვს მომავალი სულიერი ზრდისთვის...

უფრო ჩაღრმავდი საკუთარ თავში. მთავარია ღმერთი იყოს შერთან. ეს ჩინ-მედლები და სიგელ-გუჯრები, მეტადრე ეს პრემიები და მითუმეტეს ამ ქვეყანაში – მხოლოდ პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არსებობს და არა ლიტერატურული ხართის აღნაიშნად.

15. 9. 97 წ.

მოსალოდნელი მწუხარება და ბედნიერება თანაარსებობს ჩემში. რომელი ჭარბობს არ ვიცი, რადგან ბედნიერებაც მწუხარების სათავედ იქცევა მომავალში.

მიეჩვიე უცნაური განცდების მალვას, მათთან ჩუმ თანარსებობას, სიტყვები მოგვიანებით ჩნდებიან და ამ სიტყვებში ზოგჯერ შედეგი ჩანს და შედეგი არის სარწმუნო, რეტროსპექტულად რომ მახებებს – წარსულიდან მომავლისკენ. ეს სიგრძვა სიტყვებში მოხლებულია და ეს არ არის მხოლოდ თვითგამოხატვის შესაძლებლობა, მისი სიგრძე უფრო მეტია, ვიდრე თვითგამოხატვის ფარგლები. ამგვარი სიტყვიერი გამოვლენა არაა ავტორის დამახებრება, რადგან ავტორის, როგორც გამგებარის მემკვიბოთი, მისი გზით ავლენს ტრანსცენდენტი თავის არსებობას.

ზედაპირზე ტყუილი მოჩანს, სიმართლე უფრო ღრმადია, ტემპირატემა კი ისე ღრმადია, რომ ვერ ვნახებდი. ზოგჯერ იგი აქვეა და ამავე დროს დაუსრულებლად შორს.
26. 7. 98 წ.

ყოველზე და ყველაფერი მიმართულია პროვოკაციის უგულვლესყოფად, გასანადგურებლად, მასში ვგასათქვამდე, სადაც ადვარტული გემოვნება ბატონობს და რაიმე განსხვავებულს, დამაფრთხებელს, სულშიამნენდობს ანაქრონიზმად თვლიან.

აქეთენ დგამს ნაბიჯებს მასკულტურა, თან ეძებს კონსენსუსს მასების მოთხოვნასთან, დასაძვებას ამხველობაში ადამიანის უზადრუკობაზე და წარამდგა ჩასწინინებს მკითხველს მისი არსებობის უაზრობასა და აბსურდულობაზე და სარკასტულად შეჰყურებს ადამიანს, როგორც ღვთის ხატს; ადამიანის ბუნება დასაბამიდან ორჭოფულია და მუდამ მერყეობს სულსა და სხეულს შორის. ადამიანი ცდილობს მათ შერეგებას თუ თანარსებობას. სწორად ამ სიგრძეში ჰპოვებს მწერლობა საარსებო სიგრძეს და მისთვის ადამიანი არც მხოლოდ უზადრუკობაა და არც მხოლოდ ღვთის ხატია.
3. 9. 98 წ.

მცირე ბძივც კი არ არსებობს ამ უაზრო უძრავიდან რომ ამომავდოს.

ქვეყანა ჩემს გარემუ არსებობს – ის თავისთვის, მე ჩემთვის. ვულზეც არაფერი მეკარება, ჩემში დადუნდა ყველაფერი, მაგრამ ეს არ არის მეტყველი დუმილი, არც ტლიოლი, არც მონატრება,

არც ვანვამი, იგი უფრო აბათიას ნაავავს.

ესენი შურის საბაბს ადელიად პოულობენ და სწორად ამით ამტკიცებენ საკუთარ უზადრუკობას.

ისევე წინ, ისევე მაღლა, ისევე სიღრმეში! ეს საში სიტყვა ლოკურად ავსებს, მოიცავს ერთმანეთს.

ბოლომდე უნდა შევეგრძნო, რომ ჯვარცმის მისტერიის თანამედროვე და თანამონაწილე ვარ და ყოველზე



არა მხოლოდ ჩემს თვალწინ, არამედ ჩემი უმუშალო თანატანავით მოხდა. მე ვარ ერთ-ერთი მათგანი, ვინც სინანულში უნდა გალიოს დღეები, დანაშაულის გამოსყვადვის იმედში.

ვერავის გაართობენ ჩემი სიტყვები, ვერ გამოვდგები ვინმეს გამართობად.

ვიდრე მოყვასზე მეტად თავი მიყვარს, ვერ დაეძლევ იმ სიკარბილეს, თანდათან რომ მიმორჩილებს.

3. 10. 98 წ.

წიგნის ტირაჟები ჩაუნდა, არ გაეყიდა უიტმენს, კირკე-გორის, კაფკას, პესეს, ჰაიდეგერის და მრავალ სხვას.

ჩვენში ზოგიერთი თაქილობს წიგნს დანაეროს, რომ გამოცემულია ავტორის ხარჯით, რეცხვიანება და ასეთი ნარწურა ავტორის დამცემთან მიაჩნია. ასეთი დამოკიდებულება კერძო გამოცემასთან ჩვეულებრივი პოსტსამჭურო ცნობიერების გამოხატავდა.

კირკეგორი ყველა წიგნი თავის ხარჯით არის გამოცემული.

5. 10. 98 წ.

ამაობა მეორე ცხოვრების იმედია...

ქვეყნებდა ადამიანისთვის გასაგები რომ გახადეს, იგი ადამიანობაზე უნდა დაიყვანოს და საკუთარი ბეჭდით აღნიშნოს /კამოუ, სიზოფეს მითი, რჩეულთა ბიბლიოთეკა/...

დაიარსებებდა რაციონალიზმსა და ირაციონალიზმს შორის, იმ დიდი ტრავმების მიზეზია — ადამიანი ან ადამიანთა შორის რომ არსებობს /მესტოვი/.

იცოცხლო, ნიშნავს აცოცხლო აბსურდი /კამოუ; სიზოფეს მითი/.

ესა თუ ის ცნება მაშინ მისხლტება ხელიდან, როცა კერძო გამოცდილების საზღვრებს სცილდება.

მეც გავავრძელებ სიცოცხლეს ანუ ვაცოცხლებ აბსურდს. ყურს არ ვათხოვებ მითქმა-მოთქმას და ჭორებს. გაივიღის დრო და არაფერი ვალაგდება. ამიტომ დროის გასვლას არ დავულოდები, გავავრძელებ ჩემს საქმეს.

7. 9. 98 წ.

ალბათ შემთხვევით აღმოვჩნდი აქ. ადამიანები, რომლებთან ერთადაც მრავალი წელია ვმუშაობ, მოლოდინე-ლად გამოცხრდნენ... გაუცხოების აღმოჩენა იყო მოულოდნელი, თორემ პროცესი გაუცხოებისა, ალბათ, დღე-ღამის მომდინარეობდა /ახლოობებს ვგაღიხმობ/. გული მიკუმშება, ალბათ, თავიდანვე შემთხვევით აღმოვჩნდი აქ...

წელია გამოდებით ფუტრიალო ამ აკვიტებულ თემას და აუცილებელია დაეუბრუნდე იმ მოჩვენებით სიმწყობრეს, თვითდინებაზე რომ არის მიშვებული.

რა ამ ხალხის ბრალაა?! ისინი თავის რეგისტრში ფედერენ და მიყვული დაპირისპირებითაც ემაყოფილი არიან. ეს მე ვარ ჩვეულებრივი ცხოვრების რიგშიადა ამოვარდნილი. ამოვარდნილობაში, გერდემთყოფობაში ვეძებ ჩემს ადგილს და აქედან ფეხის მოცვლასაც არ ვაპირებ. გული არ მწყდება რომ უპაათოდ ვარსაგობ, მაგრამ

მუდმივი გაორება თავის დაღს ამწნებს ჩემს ფსიქიკას. ის, რაც ამათთან მაკვირებებს, იმდენად უმნიშვნელო და უარზაო, იმდენად სამსახურებრივია, რამ ჩემს თვალში კარგავს წინას და აუტანელი ხდება იმ თამაშის ნესტების აუცილებელი გაზიარება, მუდამ მონოტონურ და სპეკულატურ შინაარსის რომ შეიცავს. ჩემი აქ ყოფნა მთლიანად ევლდება ოჯახის ეკონომიკურ ინტერესებს, ელემენტარულ ხელფასს და არ ვიცი ჩემი მძველად ყოფნა როდემდე გასტანს.

9. 10. 98 წ.

გარედან შემოღწეული აზრები იმ საფუძველს მირყევენ, რომელზეც ვდგავარ რამდენიმე ათეული წელია. დისკომფორტის შეგრძნება სწორედ ამის ბრალზეა.

ეს მწირველ-მწიგნობრები ყოველმსოფუნების პრეტენზიით არიან აღჭურვილნი. მე ვცდილობ მათი წიგნები, მათი ნააზრები ვიკითხო, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩაენახდე იმ პროცესებს დღევანდელ ინტელექტუალურ პროვინციაში რომ მიმდინარეობს. თითქმის ყოველი მცდელობა იმის ვაცნობიერებისა, რას ფიქრობენ ეს საექვტო ტიპები, თავს რომ მწერლობაზე მაღლა აყენებენ. — ჩემი ბუნებრივი გალიზიანებით მთავრდება. ისიც ამოვიკითხე, რომ ეს მთხზველობი უარს ამბობენ, უარყოფენ, შეძლება აშკარად არა, მაგრამ მათი დამოკიდებულება მწიგნობრების თავისთავში შეიცავს შემოქმედებით პროცესში იდუმალების, მისში რელიგიურობის ნებაყოფლობითი არსებობის იგნორირებას.

ისეთი საკითხების გარკვევას ლამობენ, რომელთა ავად თუ კარგად გავება გარდუვალ შეცდომებითა და ცდომიერებისათან იქნება წილდაყარი. ისმის კითხვა: რა უნდა შეიმეცნოს მეცნიერმა /ჰუმანიტარმა/, რა უნდა გამოიკვლიოს და რას უნდა მიაჩიოს აქსიომატორების მნიშვნელობა თუ კი იგი ჩვეულებრივი ათვისტია ან სულაც ღმერთმებრძოლი და არ გვუება შეუცნობლობის, იდუმალის, ლეტაბრივის ამოუხსნელობის კანონს და შესაბამისად არ ემორჩილება ზენარას, არ ღლებლობს არანაირი იერარქიის არსებობას, გარდა პროფანულისა.

თუ ყოველივე ამას გაეთვალისწინებთ, ადვილად მივიტოვებ შემდეგნაირ დასკვნას: ისინი ცდილობენ იმ ცოდნით მოგვანონონ თავი, რომლის მეშვეობითაც პრაგმატულ ყოფნა შესაძლოა ამით ისარგებლონ, მაგრამ აშკარაა მათი მცდელობის უნიუთობა: ადამიანობის ჩაკვლით, ადამიანისგან ღვთაებრივის ჩამოცილებით შექმნან ხელოვნური სამყარო, "მწიგნობრული" ტვირის სა-ვადავიოდ რომ გაყოფდებიან. სიტყვა მწიგნობრული ბრწყალეში ჩავსევი მხოლოდ იმიტომ, რომ მათი გაგებით მნიშვნელობა ღმერთმებრძოლობის საშუალებაა და არა ღვთისმაცობლობისა. ამ თვისებით ისინი ბიბლიურ მწიგნობრებსა და ფარსეველებს კი არ ენათესავებიან, არამედ მათი უმუშალო შთამომავალი არიან.

ცივლიზაციის სამ პერიოდად ყოფენ — 1. მითების. 2. რელიგიის. 3. მეცნიერების პერიოდებად.

ახალ დროში, მართლაც ამკარაა მითოური სამყაროს ჯერ ტრანსფორმაცია, შემდეგ კი რღვევა, მისი მნიშვნელობის სრული ნიველირება, სულიერების კრიზისი და რელიგიის როლის დაკნინება, ხოლო ამ ფონზე მეცნიერების



აღზრევით, რომელიც ვახდა თავისთავად მიზეზი დეპერსონალიზაციის, დემუმანიზაციის და საერთო სულიერი კრიზისისა.

ვერაინ უარყოფს, რომ ასეთ სინამდვილეში ცხოვრობს ამაყმად კაცობრიობა და გამოსავლის ძიება აუცილებლად მიგვიყვანს ერთადერთ ქუმშარიტებადმდე: დავიბრუნოთ რწმენა, დავიბრუნოთ ადამიანურობა.

უმრავლესობა სულიერი დევრადაციის ამსახველ ნივნებს უწევს პროპაგანდას ანუ იმას, რაც მკითხველს დააკნინებს. ჩემი დამოკიდებულება, იქნებ ზედმეტად კონსერვატულია, მაგრამ ახალი ესთეტიკის მაძიებლებს თუ ადამიანი დაავინწყდათ, თუ ადამიანი მხოლოდ გამრავლებების საშუალებად, ან საქმლის მომწოდებელ ორგანიზმად მიაჩნია, რომ "ესთეტიკა" ჩემთვის უინტერესო და მიუღებელია.

ჩვენს ქვეყანაში, ინტელექტუალურ პროვინციაში, ცდილობენ იმ "ზილნეებს" დამკვიდრებას, რასაც ქადაგებენ ცალმხრივობას და ზერელეობას შექვეული უპაუზისმგებლო პროვინციული ავანგარდისტები. ზოგიერთი მათგანი სიყვარულის ნაცვლად ხელოვნურ განაყოფიერებას გეტავაზობს, სადაც მთავარი გამოტოვებულია, მაგრამ ამ მთავარის გამოტოვებით, მათი აზრით, რაღაც მიზანი მაინც მიიღწევა და ეს მიზანი გახლავთ თვითმიზნური სიხალისი ანუ ხელოვნურობის პოპულარიზაცია (პოპულაცია).

ის, ვინც ყველას და ყოველივეს დამცინივად უყურებს, ვისთვისაც მხოლოო სააზროფო გამოცდილება – მხოლოდ სასაფლაოა და მეტი არაფერი, ის, ვინც ნიღოლიზმის ნივნში ჩამაშული ჭუპირიდან გამოიჩეკა, ელვისისნრაფით მრავლებს და თან თავს იწონებს იმ სიცივის და სისხლიტოის ქადაგებით, რაც მისი აზრით ყოველგვარ ომბერობის, მიოუმტებს ყოველგვარ ლეთაბერობს ეჭვქვემ აყენებს და საკუთარი სხეულებრივი გარსის შემოწერილობით ალიქვამს ქვეყნის დასასრულსა და დასაბამს – ანუ თვითონა ყველაფრის საწყისი და სასრული და იმ ხოჭოების მდგომარეობას უბრუნებდებიან ნავაგში დაწკიდებულები რომ ვერაფრის ამჩნევენ, ერთმანეთის გარდა.

მოკლედ, ფილოსოფია, რომელიც ცდილობს უარყოს ტრანსცენდენტი და ტრანსცენდენტური გამოცდილება და ისრულად გააზრებულად იხუტავს ყოველგვარ რელიგიას და რელიგიოზობას, თვითიდისკრეტიზაციის ზენიტი იმყოფება...

11. 10. 98. 5.

ვის უნდა ჩემი ნივნი? ვის სჭირდება რომ ვწერ?

წერ ჩემთვის და კიდევ მათთვის /ისინი ცოტანი არიან/, ვინც ინტერესით კითხულობს ჩემს ნივნებს.

ზოგჯერ აპათიაში ვვარდები და გვიან ვხვდები, რომ ამის მიზეზი ნივნის ფეხზე დაკიდებაა.

კაცობრიობის უმნიშვნელოვანესმა ნაწილმა უარი თქვა პოეზიაზე.

12. 10. 98. 6.

მჩრქველია საბჭოს გუმბერელი სხდომა... არჩილ გოგლია ტელე-რადიო მაუწყებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარე, მონივრის მწერალთა კავშირი. ერთმანე-

თი დამოძღვრეს და შეთანხმდებენ: ტელევიზიაში არც ერთ მწერალს არ გაატყანებდნენ ცნობილი მწერალი მწერალ-ქსაპერტების დაუკითხავად. ვის თვლიან ნეტავ მწერალ-ქსაპერტებად და ვინ გააკონტროლებს ლიტერატურულ სფერებს ტელევიზიაში? ამტკიცებენ: როსტომ ჩხეიძე ტენდენციურია, არსებული ლიტერატურული რეალობის სათავისოდ შეცვლას ლაშობსო. თუ ნარმოვადგენიათ რომელიმე ტელეევადაცემამ ან ლიტერატურული მოსაზრება რაიმე ტენდენციის გარეშე? უარყოფენ როსტომ ჩხეიძის ტენდენციებს და ცდილობენ სათავისო მდგომარეობის გაუმჯობესებას და შექვეული პრივილეგიების დაბრუნებას. სიმართლე გითხრათ, უმრავლესობა შეეგებრა, ისევე საკუთარი სახელის გამტკიცებაზე ზრუნავენ. სხვა საზრუნავი აღარაა დარჩენილი. მე, მე-ს გაიხიზან თხებივით და შედგომ თაობათა შემოქმედებაში თუ რაიმე ხედავ, არც აინტერესებთ, ერთმანეთის მონახებას განადიდებენ, ერთ სმარს ასტეხენ ხოლმე, მეორე ერთმანეთს ქორავენ ზურგსკუან, ხოლო სხვებზე დღუმა, არცერთი სიტყვა არ დასცდებათ, არც საქებათა და არც კინია. როდემდე უნდა ვუყურთ სამოციანი წლებში გაჩერებულ მატარებლის რამდენიმე მგზავრს, რომელთაც ჰკონიათ, რომ მომავალ სადგურს უახლოვდებიან, სინამდვილეში კი ვიღაც არევეს ვაგონს და მოძრაობის ილუზია ჩნდება, არადა იქვე დგანან, საკარბელები ირწვნიან. რამდენიმე სამოციანელმა ამ მატარებლის ფეხითაც გაასწრო და იმია, ცხადია არც ვკვლისსმობ. ვერ ხვდებიან, როგორ ეწირებიან ცრუ სიდიადეს, თავზე რომ დაემთხველება ერთხელაც. აი, ტიპური თვითმხურუქი, წარსლის ინერცია, რომელიც ეკლება, მაგრამ ქება-დიდებას მაინც მოითხოვს.

ისინი ამ იყვენ, ჩვენ წინ ნავიდეთ, ვეცადით უფრო წინ რომ ნავიფიქოთ.

ეპ, ეს დიდებული დრო – მკურნალი და მსაჯული, თავის ადგლის მიუჩენს ყველას, ამ რეზინის დინოზავრებსაც დაწურტავს და დაბინავებს, როგორც უსარგებლო რეკვიზიტებს.

5. 11. 98. 5.

დღეს ჩემი ნივნი — "ამოდის თუ ჩადის მზე?" ბეჭდება დარჩეს. ბავშვითი მიზარია, ვცემუკავ. თან ისიც მათეორებს: გამოვი და ვაყიდე ვაჭირდება. ვნახათ რა გამოვი? რა მიზარია? კომპლებს ვთილ და ჭეშრი ვანაყო... კომბალს უფრო ჩამოიღებენ სხევიდან, ვიდრე ნივნებს კარადღდა.

4. 12. 98. 6.

ნივნის გარეკანის საქმე გადაიდო. ნინა ნივნის 71 ეგზემპლარი, მე რომ მეკუთნის, პონორარის ნაცვლად რომ მომცეს, დამწრა ვასაყიდი. ვისთვის ვწერ და ვისთვის ვცემ, კაცმა არ იცი.

თუმცა ნივნის /"გამოსვლა უდროობიდან"/ უკაყოფილო არ უნდა ვყო, ას ცალზე მეტი გოგია, ესეც საქმეა. თუ იმასაც ვაგითვლიწინებ, რომ ზოგიერთი ეგზემპლარი /"ქავიანს დილორის" ხათრი/ ხელიდან ხელში გადადიოდა, რეალური ოდენობა ნივნის გავრცელები-სა მეტი გამოვა. 20 ცალი ქუთახში გავერცყე, 10 თელავში, 15 გორში, დანარჩენი თბილისში.



და რაც მთავარია: ექოსკოპიაზე გაირკვა რომ შვილიშვილი გოგონა იქნება. კეთილად მოზრძანდა ქალბატონო.

14. 12. 98 წ.

ვექებე ხელის ფარანი /ვაზრობაზე/ და ვერ ვიპოვე... მოვედი სამსახურში, ახლა ისევ ბაზრობაზე ნაულ და ორ ლამბას ვიყიდი. ერთ ლამბას სარდაფში ჩავიგებ, უნდა ავაგუზგუზო ლუმელი და იქ მაინც ვიპოვო სიმშვიდე. ჩემს ბინაში ორი ოთახი თებბა - სამზარეულო და სასტუმრო /დროდადრო/. სამზარეულოში გამუდმებული რიარია, ასევე ხალხმრავლობა სასტუმრო ოთახში. სამუშაო პირობები არ გამაჩნია. უაზროდ ვზივარ ხან ერთ, ხან მეორე ოთახში, ვერც ვკითხულობ, ვერც ვნერ /იშვითი გამოჩაქვისის გარდა/.

იმიტომ დამჭირდა ლამბა, რომ სარდაფის სიმშვიდე დავიბრუნო.

2. 1. 99 წ.

საგვებით ბუნებრივია და ჩემთვისაც სასურველია, არც ერთ ლიტერატურულ დაჯგუფებას რომ არ ვეკუთვნი და ვარსებობ ჩემთვის, მაგრამ ცალკე ყოფნა ერთია და, გამოქვეყნების პრობლემა კი სხვა. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ თავი მივაწებო ბექეფას - ერთხანს მაინც, თუნდაც რამდენიმე წლით, ვიდრე რაიმე შეიცვლება.

P.S. ჯერჯერობით დუმილი ვარჩიე. დუმილში შეიძლება მონიჭდეს გადაწყვეტილება. ლიტერატურულ საქმიანობას ჩვეულებრივად გავაგრძელებ, იქნებ უფრო ინტენსიურადც მოვკიდო ხელი. საამისოდ დრო მჭირდება, - დრო, ვარცვნილად რომ დღემ და თავისთავში აგროვებს შუქს.

რომელიც სხვების დასახნადა ჯერ არ ანათებს.

4. 2. 99 წ.

რამდენიმე დღეა ვფიქრობ გაურკვეველ წინადადებაზე - იგი დაახლოებით ასე უღერს: ხავის დამამზადებელთა კავშირი ან საზოგადოება, იქნებ არტელი და მათი საქმიანობა, არიან, იმ ხავის კი არ აგროვებენ, რაც ბუნებაში მოიპოვება, არამედ ქმნიან საზოგადოებრივ აზრს იმდენად დახასხებულს, რომ მათი ყოველგვარი საქმიანობა დაბავსებული აზრის აღმოცენებასა და გავრცელებას უწყობს ხელს.

მათი თქმული ან დანერვილი ყოველი წინადადება ხავის დამკვიდრების მცდელობაა, ხოლო ხელნაწერები და ნაგებები დახასხებული აზროვნების საუკეთესო ნიმუშებია.

ხავსზე მოთხოვნას სწავლობენ ცნობილი სოციოლოგები, ქურბანლისტები, მეცნიერები, მწერლები. ასევე შეისწავლიან ხავისა და ჭაობის გავრცელების არეალს. ჭაობის შექმნა ხავის დამამზადებელთა კავშირის უდიდესი მიზანია, რადგან მხოლოდ ჭაობში იზაბდებიან მათი არტელის თუ კავშირის ცველაზე გამოორჩეული წარმომადგენლები, რომლებიც ძირითადად სწავლობენ ხმაურწყობილ ყოფის, რათა დახარჩენ მოსახლეობას დაუმტკიცონ მათი შემოქმედების ერთადერთობა და განუყოფრელობა.

ხავის შემტარებელთა კავშირი - ერთადერთი საზოგადოებაა, სადაც მამულიშვილური სიტყვით გულანთებული აფაიანები მოღვაწეობენ.

7. 2. 99 წ.

ამ სემესტრში პირველი ლექცია /ლიტერატურული დაოსტატება/ მქონდა კულტურის ინსტიტუტში. რამდენიმე სტუდენტი მესწრებოდა. ორი საათი ვისაუბრე. რალაც გამოვიდა და თვითონაც ცნობისმოყვარეობით და ერთუხაზობით აღვივტე. მალე სტამბიდან გამომიტანენ წიგნს, რომლის სათაურია "პოსტმოდერნიზმი". დათო ბარბაქაძემ წარმოადგინა "შერანში" გამოსაცემად, ერთი ქალბატონის თარგმანია. რამდენიმე უცხოელი ავტორის ნაშრომი /ვილგელმ გელში და სხვანი/.

ამ წიგნს რომ ამომიტანენ, ნაულ და გრომასთან ვიყიდი იუნესკოს და ბლუმს.

თბილისში რუსულენოვანი ინტელექტუალური წიგნების შემოტანას, ძირითადად უცხო ენებიდან თარგმნილი ლიტერატურას, მხატვრულსა და სამეცნიეროს, გრომა და სერგო აკონტროლებს.

2. 3. 99 წ.

დაზრდიანი დღე იყო. მძიმე სენით დაავადებული ირაკლი ნაზაძე მოვიზახულე.

რას ვიფიქრებდი თუ მაჩაბლის II-ში, კომკავშირის ცკ-ს უკანა ფლიგელის პირველ სართულზე, აფხაზეთიდან ლტოვილები ამოყოფდა თავს ეს ხალხითი აღსაცხე კაცო. უსუსური, უშნო, უფლური - მხოლოდ ეს სიტყვები ამოტყავიდა გონებაში მისი ნახვისად და ძალიან შეგებრალა.

უფერული და ნამსვლელი კაცის უიმედობა უზუჭტავდა თვალებში.

16. 11. 99 წ.

ფიქრობ ახალ რომანზე: მევახზე და მისი მეგობართა წრე. ოჯახური ვარემო და სამსახური.

ვალის გაცემის და ვახშის აღების მეთოდოლოგია. მევახშის გაპარლამენტარება და პოლიტიკური სარბილი. კაცი დიდი წილის მეპატრონეა ქალაქის ცენტრში მდებარე ერთ-ერთი შენობისა, საიდანაც უზარმაზარი შემოსავალი აქვს.

საინტერესოა მევახშის რეველი, სადაც გვარების გასწვრივ ჩამოშლიკებული ვახშის ნაშატო თუ კლება, მიმდინარე ნაშთი და ვალის გაუსტუმრებლობის შემთხვევაში ჩადებული საკუთრება: ბინა, ძვირფასეული, საკუთრებიანად გადაზხდელის მთლიანი წლი და ა. შ.

უაღრესად სინტრესო პერსონაჟია, ცკ-ს წინსტრუქტორალი, ნაეკენტარი, მისაღები გამოცდების კომისიების მთავმდამარე ან მოადგილე, ფულის აღების სქემის ერთერთი მთავარი რგოლი - საბჭოური პერიოდში.

27. 2. 2000 წ.

მენატრება ეკლესიის ეზოში სკამზე ჩამოჯდომა... მამაქემს შევექმნიანე. მინ მარტოა. საღამოობით ჩემი ძმისშვილი რჩება მასთან.

დღეს დედაქემის სალაგზე გადის კვიპაროსების და ვარდების მოსარწყავად. განსაკუთრებულად უფლის იქაურობას. მეც შემომთავაზა: ნამომეყიო!

9. 8. 2000

დაიბადა 1920 წელს, კიაროში. არაბული ფრანკოფონიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარმოზადგენელია. ავტორია პოეტური კრებულების, ნოველებისა და რომანების. მისი ნოველების ქართული თარგმანები დაბეჭდილია „ჩვენი მწერლობისა“ და „ახალი თარგმანების“ ფურცლებზე. რომანის — „ნეფერტიტი და ეხნატონის ოცნება“ — ლია რუხაძისული თარგმანი 2006 წელს გამოსცა „ლიტვენტში“.

ანდრე შედიდი

ბატინის სახეცვლა

მომავალი გადაღებებისათვის ადგილების შესარჩევად ჩამოსული ახალგაზრდა რეპორტიორი რაღაცებს დაეკითხა იქვე ჩიხში შეკრებილთ. მერე გრანდიოზული ახალღო ამბავი გააწვინა. მისი წახვლის შემდეგ ისინი დიდხანს კამათობდნენ, ბოლოს შეთანხმდნენ და გადაწყვიტეს, დაუყოვნებლივ მისულიყვენ ბატინთან, რომელსაც წინააღ ხედა ბედნიერება, ამ მოვლენის მთავარი გმირი გამზადარიყო.

ცხრანი იყვნენ საიდუმლოვანდობილი მფუფუნეთუძე და მისი ვაჟი, დალაქი, თამბაქოს გამყიდველი, უბნის ინსპექტორი, მღვსაეი და მისი ცოლი, სკოლის დირექტორი და ბოლოს — ვაიპა, ზემოსენებული ბატინის ჩასუქებული მეზობელი. ამ ფავცავუცით რამდენიმე მოყვალის ყურადღება მიიპყრეს, და მათთან ერთად მიცვიდნენ ერთ ძველი სახლის გავცეული კიბეებს. ეს სახლი მჭიდროდ დასახლებული უბნის შუაგულში იდგა, ისტორიული ძეგლების წესხაში იყო შეტანილი და, უპატრონოდ მიღებული, ნელ-ნელა ინგრეოდა. ამ ორმოცდაათოდე წლის წინათ სახლის ბოლო სართული სახელმწიფომ ერთ მხატვარს გამოუყო, რომელიც, სანამ დაეიწყება მიცეცე-მოდა, თავის დროზე საკმაოდ ცნობილი იყო ამ არემარემი.

სხედნულმა პატარა რაზმმა ქარბობაალასავით აიჭროლა ოთხი სართული და მხატვრის სახელსონში მოგრილდა. სახელსონი ფართო ტერასაზე გადიოდა, რომელიც ქალაქს გადააყურებდა.

მიუხედავად მძიმე წონისა, რაზმს წინ უძღოდა სამოცს მიტანებული ვაიპა.

— პირველი მე მიმიშვით მასთან სალაპარაკოდ, — ქომინებდა ის, — ყველაზე უკეთ მე ვიციან ამ ჯორივით ჯიუტს. ადვილი საქმე კი არ არის მისი დაყოლიება!

სარწვევლა სავარძელში ჩაფლული ბერიკაცი განაბული ჭვრეტდა ცის ტატნობს და მიმქრალი დღის სინათლით ტკბებოდა. რაც ვაიპა დაქეროდა, მან იკისრა მოხუცზე ზრუნვა, მაგრამ არც ბატინს და არც მის სამყოფელს არაფერი ეტკობოდათ მოვლა-პატრონობა.

ოთხმოცს რომ მიატანა, და მას შემდეგ უკვე შვიდი წელი გავიდა, ისედაც გულგრილმა, ყველაფერი ფეხზე დაიკიდა. უხაროდა, ამ ხნისა რომ მოიყარა, და თვლიდა, სხულებისათვის არავითარი ძალა აღარ უნდა დაეტანებინა, ანი ნებაზე უნდა მიეშეა და, ბალანი იწეგოდა ეს, თმები,

წერები თუ ფრჩხილები, მათი ბუნებრივი ზრდისთვის ხელი არ უნდა შეეშალა. ხელების დასაბანად უზრალოდ წყალს გადაიღებდა, და ამასაც მხოლოდ იმიტომ, რომ ზეთისა და სკიპიდარის სუნი აღიზიანებდა, ხელს უშლიდა შემოქმედებით პროცესში. მცირეოდენი სამისი, რაც კი ენადა, ვაიპას წვილ-კივლის მიუხედავად, უბნის გლახაკათვის დაურიგებინა და ერთი ხელი თეთრი შარლისა და ნითლი პერანგის ამარა დარჩენილიყო, რომლებიც თანდათანობით ისე შეეზარდა პატრონის სხეულს, რომ მისი მეორე კანი გახდა, საღებავის ლაქებით აჭრელებული და გაბეჭმებული. ფეხშიშველა ტანტალს იყო მიჩვეული და თავი მოაქრინდა სირაქლეშასავით მქიხე ტერფებით, ლურსმნებზე, კენჭებსა და შუშის ნამსხვრევებზეც რომ შეეძლო სათარული.

ბატინის კარგა მოზრდილი სახელსონო, თითქმის ნანგრევებად ქცეული ძვირფასი შენობის თავზე რომ მოთავსებულიყო, ამადგროვლად მისი საძინებელი ოთახიც გახლდათ. ამ უკანასკნელში კი არაფერი იყო, გარდა ერთმანეთზე შეწყობილი აგურებისა, რომლებზეც ლეიბი იდო. ლეიბზე, სეზონის მიხედვით, ბამბის დალიანდაგებული საბანი ან გახუნებული უჯრედებიანი პლედი ფენა. ეს ფართო დარბაზი მთელ მის ავლადდეებას იტყვდა: ძველი გაზეთებით და საკანცელარიო ქაღალდებით გატენილი ყუთები, წერილებით და ფოტოსურათებით სავსე უჯრები პირდაპირ იატაკზე ეყარა, ნიგნვლის უმაგრე შეკერას, ყველგანის განსწორე მეორე კედლივით რომ აღმართულიყო, მტკრის სქელი ფენა დასდებოდა. რა ხანია ბატინი მათ აღარც გააკარებოდა. კონსერვის ცარიელ ქილებს ტოლჩენდა იყენებდა; ზოგში ფურჯები ეწყო, ზოგში — ყვეიფები. ფიცრებმეყუდებული მაგიდის ზედაპირზე ზედიზედ საღებავის რამდენიმე ფენა იყო დაგლესილი. აქა-იქ, საღებავის ქილებსა და ყველა ზომის ფურჯებს შორის დათბვრილი დანები ეყარა. სამი სკამი და ერთიც ტაბურტი ნაიფურად აჭრელებულიყო. ნახშირის თუ გრაფიტის ნაირ-ნაირი ფანქრების ტვეა არ იყო მდოვგისა თუ მურაბის ქილებში. ტელეფონის აპარატი, რომლის უგრძესი მავთული ტერასასამდე წეღებოდა, მუდამს სადავო ქრებოდა: ჩვერების გროვამი, ევდროში, სკამების უკან... მისი გამაყრებული ზარის რეკავაზე, ყოვლად უდროოდ დროს, დააოტებდა ვაიპა მანამ, სანამ ახალ სამალავს





მიავნებდა. ეს ყველაფერი ბატინის მისი ბავშვობის დღეებში დახატულია და მისი ბავშვობის დღეებში დახატულია და მისი ბავშვობის დღეებში დახატულია...

— გამოხატული ვარ, მათგან ტყეა აღარ არის, — ჩიოდა ის.

ერთი მეგობარი მყავდა, მხიარული, კუნთმავარი მღვლედი. მისი დახმარებით დროდადრო გაქონდა რამდენიმე სურათი მახლობელ ნავთსაფრებზე, რომელსაც კვირად ერთხელ ცეცხლს უკიდებდნენ. ყოველ ასეთ აუტომატურ რაღაც შეებას გრძნობდა, თითქმის მთელი დახადალა. თავიდან ვაღიპავ კმაყოფილი უყურებდა ამ გამანადგურებელ საქმიანობას. ადრე, სამჯერ თუ ოთხჯერ, ბატინმა მისი პორტრეტი დახატა, მაგრამ დასრულებულ ტილოებზე ქაღალა ვერც ერთხელ ვერ იცნო საკუთარი თავი.

— შეგინდია ამისნაირი, აქ რა ბატია? გასროლა თუ გაეღვება? მტვერი, სისხლი, მზე თუ ცრემლები? დღურთმა უნესი, რა არის ეს, აცაბადა მონათხუნი!

ბატინი თავიზიანდა ხრიდა თავს: — ვერაფერი აგისინი, ვაღიპა, თავისთავად გამოდის ასეც, ესაა ეს.

— რომ გაეფიქრებ, რამხელა ტკივილს აყენებთ თავს... — ქალი მამინვე სინდისის ქუნჯას განიცდიდა ხოლმე იმ დაცინვითა გამო, რომლებზეც უწყინარი ბატინი არასოდეს უბრაზდებოდა. რა უფლება ჰქონდა მასხარა აეგდო ის, რაც ამხელა სიამოვნებას ანიჭებდა ბერძენებს? ის ხომ უტყვი მონძე იყო, რა ტანჯვა-წამების და წერების ფასად უღირდა მას ეს სიამოვნება. მაგრამ კიდევ უფრო ის აოცებდა და საგონებელში აგდებდა ვაღიპას, თუ როგორ შეეძლო ვაეშტეტინა შემოქმედის უკვე დამთავრებული ნამუშევარი. ვაშლის ხეს მივავსებოდათ, უხვად და ხელაგალილად რომ გასცემს მინივე ნაყოფს ისე, არც ცდილობს რაიმე დაიხარუნოს... ამ ბოლო დროს თავად ვაღიპა სწავდებოდა ხელში, რათა ნინ აღდგომოდა ბატინის სურვილს, თავიდან მოეშორებინა, გადაეყარა თავისი ნახატები.

— არ შემიძლია ამის დაშვება. რამდენი ოფლი გიღვრათ, კანცი გაგინვევტითაო!

— აშკარა თავზე სახარებას კითხოვლობდნენო, ესეც ბატინის ხასიათს ესადაგებოდა; სულ აღარ აგონდებოდა გადატანილი წვალები და სიძულელები.

— მოგინდია ის დრო, როგორ იტანჯებოდით, ნელე-ბზე ფეხს იგდამდით, ძალ-ღონეს არ იზურებდით. საქმიანადაც კი არ ვუდებოდით, ხმას თითქმის აღარ

ხელბდით. ვხედავდი, როგორ ხატავდით, შლიდით, ხელახლა იწყებდით. ახლა კი ყველაფერს ამას ისე ყრით, თითქმის არაფერი იყოს!

ქალი ორივე ხელით ეღალატებოდა პერანგის საყვარლო: — ნებას არ მოვცემთ, რომ ეს ვააყვითო!

მიუხედავად რბილი ხასიათისა, ბატინი უსასველოდ ვიტიტი იყო. ვაღიპა ხედავდა, რომ პირველს თვითონ უნდა დაეთმო:

— ტყვიით ვაქეთ თავი გამოტენილი, პირამიდაზე უფრო უტენი ხართ!

ბატინის ართობდა მსგავსი შემოტყუებები:

— ეს უკვე მეტისმეტია, — ხარხარებდა ის, — გული გერევა ჩემს ნახატებზე და ახლა მათ ვეცვლად და მფარველად გამოდიხარ. მე და შენ, ჩემო ვაღიპა, ვაეშტეტის ყველაფერზე საპირისპირო აზრი გვაქვს.

— ერთხელ და სამუდამოდ, გვერათ თუ არა თქვენი საქმისა!

— მჯერად და არც მჯერა, ორივე ერთად. მაშინ ვაღიპას სხვა თემამზე ვადაპქონდა საუბარი;

— როდის გამოიცილები ტანსაცმელს? მალე აყროლდებით, მითქვამს თქვენთვის.

იმ დღეს, როცა ბატინმა გადაწყვიტა მათხოვრებისთვის დაირეგებინა მთელი თავისი გარდერობი, ვაღიპამ მოასწრო აენახა და საიმედოდ გადაეცა მისი ერთადერთი კოსტუმი. მოკრძალებული პენისა, სახელმწიფომ რომ დაუნიშნა მხატვარს, და შემოსავლები პატარა მემკვიდრეობიდან, აკმაყოფილებდა მის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს.

— მართლა და მართლა, როდის უნდა იხანაოთ? როდის გადაწყვეტთ, რომ გაიპარსოთ, ფრჩხილები დაიჭრათ, თმა გაიკრიჟოთ?

— როდესაც მოვედები! აი, მაშინ კი, ვაღიპა, შენს ნებაზე მივიშვებ, და ეს, გპირდები, ჩემს ანდერძში იქნება ჩანერილი. მაშინ შეგეძლება თავით ფეხებამდე გამბანი, თმები და ფრჩხილები მომჭრა, ჩამაცვა ის მუტი კოსტუმი, ჩემი დაკრძალვისთვის რომ გავქვს ვადახაზული. ამას დაემატება აზრებუმი პერანგი შავი პალსტუხით, ქორწილში რომ უნდა მცოდა, იმ ქორწილში, რომელიდანაც, სახედნიეროდ, მოვახერხე თავი დაემჭერნა. ვარდა ამისა, ვიტყვებ მთელ ჩემს ნახატებს, რამდენადაც სწორედ შენ ზრუნავ მათ დაცვასა და გადაჩრჩხნაზე. — ხაჯასმით უფუძებდა ბატინი და მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრავდა თვალს.

— გადარეული ბებერი ხართ და მეტი არაფერი, უბედური შერევილი!

მერე იმის შიშით, რომ მეტისმეტი არ მოსვლიდა, ენას დაიტკბობდა:

— ჯანდაბას შენი თავი! იქნებ ოღესაც, მას მერე ოცდაათ ნელზე მეტი გავიდა, კიდევ უყვარდა? დროდადრო მის სახელისნოს ჩუმ-ჩუმად ხატებოდნენ ქალები, ძირითადად გათხოვილები. მან კი ვერასოდეს გაუხვდა ვაეშტეტა თავისი გრძნობები...

... ოცნებებში ჩაიძრული ბატინი ნება-ნება ირწყოდა საგარდებო, სიამოვნებით ვერცხვდა ჩამავლ მზეს და ასე ტკბებოდა მშვენიერი საღამოთი, როცა თითქმის ყველაფერი განაბულ-გარინდულიყო.

გამოავრებელი ახალი ამბით აფორიაქებული პატარა რაზმი კი ამ დროს ორ-ორ საფეხურს ერთად არბობდა.



ბოლოს ტერასაზე ამოიჭრნენ და, სანამ საეარქელის მისც-
ვიდოდნენ, კინალამ ფეხებით გადაუარეს სამ ნინილას,
თავისთვის რომ დაჩერებოდნენ, იქვე დააფრთხეს
ჭრელი კატა, რომელმაც, ვაქცევისას, საკენკით სავსე
ჯამი გადმოაჩრქვეა, შავი კატა კი, დაგლეჯილი დივანზე
რომ ნებივრობდა, თავზარდაცემული გაეაჩრქო და ამოე-
ფარა ერთ დიდ გროვას, რომელშიც ერთმანეთში
არეუული ბილინები, ძინძები, ცოცხები, შუმა, გამანმარი
საღებავის ყუთები, დამტერეული სკამები, დაშლილი
მოლბერტები და ცარიელი ბოთლებით სავსე თუიის
ნიჯარა. ოთხი კრუხი ფრთებით ქნევიდა და კრიახით
გამანარებული დარბოდა ერთ დუფინ მონიათალო კოთნებს
შორის, რომლებშიც ვადიპას ოხრახუმი და პიტნა მოჰყავ-
და და პამიდვრის ჩითილებიც კი ჩაერგო. მხოლოდ
ბიბილიონამომქნარმა მამაღმა არ შეირცხვინა თავი.

სიტყვებისა და ფესტების კორინთელი რომ დააცხრა
თავს, ბატინი ისე შეხტა, მისი სიმძინიდან სავარელი
კინალამ ჩაწყდა. ვადიპასგან შეგულიანებული დალაქი
ორცი ხელთ სწავდა, რომ ნამოყენებინა, მუსესავი და მისი
ცოლი ილიდები მუუდგენენ, ინსპექტორი ზურგზე მიანგა და
ბატინი ისე აღმოჩნდა ფეხზე, პირის გაღებაც ვერ მოახსრო.

— გვაპატიე, — მოუბოდიშა დალაქმა, — მაგრამ
საქმე, რომელმაც აქ მოგვიყვანა, სასწრაფო და
უადრესად მნიშვნელოვანია.

— არაჩვეულებრივ მოვლენას შეხვება, — სიტყვა
ჩამოართვა მეფუნთუშემ.

— განსაკუთრებულია, — დაუმატა თამბაქოს გამყიდ-
ველმა.

— ეს შანსია უზნის ახალგაზრდობისათვის, — დაუ-
დასტურა სკოლის დირექტორმა.

— მთელ შეს ცხოვრებას შეცვლის, — დაასკენა მლე-
სავმა.

— და ჩვენსასაც, — განაგრცო სკოლის დირექტორმა.

— რამ უნდა შეევალოს ბერიკაცის ცხოვრება,
რომელიც დასასრულს უპალოვდება, — ჩაიბურტყუნა
ბატინმა.

— გეყოთ ფილოსოფოსობა, — შეანყვეტინა ვადიპამ,
— ერთხელ მაინც მოისმინეთ სხვების აზრი!

— მამ ასე, — დაიწყო სკოლის დირექტორმა, რომელ-
მაც თავს ისე, ყველაფერი აეხსნა. — მორიგე ფოსტალ-
იონს, სახედინაროდ, ხელში ჩაუვარდა შეერთებული
შტატებიდან გამოგზავნილი დეკემა, რომელიც მაღალ
პასუხისმგებელ პირთათვის განკუთვნილი კაბეითი გად-
მოიცვა.

— შერე რა? — გულგრილად იკითხა ბატინმა.

— ფოსტალიონის ყურადღება მიექცია შენმა სახელმა,
რომელიც სიტყვა-სიტყვით წერია დეკემაში: „მხატვარი
ბატინი“. მან მაშინვე გავგანდი ეს საიდუმლოდ.

— შერე? — ველარ ითმინდა ბატინი.

— აცალეთ დამთავროს, — ამოიხრა ვადიპამ. —
როგორ უნდა იყოთ სულ ასეთი სულსასული; ბოლო
გაიკრუნებოდ, სანამ დასაწყისს გაიცივდეთ.

ბატინი ცდილობდა, როგორმე შეეწერებინა ეს შემოტევა.
ერთი სული ჰქონდა, მიბრუნებოდა თავის ფიქრებს
ამქვეყნურ ამბობაზე, კვლავ მისცემოდა ოცნებებს,
შეტნილად ახალი ტილოების ჩანაფიქრს რომ უტრიალებდა.

— გვისმენ? — დაინტერესდა დალაქი.

— გისმენთ.

— ის, რაც ხდება, დიდი პატივია შენთვის, ყველა
ჩვენგანისთვის, — განაგრძო თამბაქოს გამყიდველმა.

— ჩვენი ქალაქისთვის და მთელი ჩვენი ერისთვის, —
მაღალფარდოვნად წარმოთქვა სკოლის დირექტორმა.

— ბოლოს და ბოლოს, რა ხდება?

— ხომ ხარ ნამდვილი პატრიოტი, ბატინ? — დაინ-
ტერესდა ინსპექტორი, რომლის გამოხედვაში ამკარა
დაქცევა იგრძნობოდა.

— დიახ, რა თქმა უნდა... ცალყვად უპასუბა ბატინმა
და თან უიმედო მხურა მიაპყრო შორს, პორიზონტზე ზან-
ტად ჩამავალ მუსეს.

მზე დიდებულად ჩაესვენა და უკან დატოვა ფერის
ზეიმი: ნარინჯისფერს ნითელი ენაცვლებოდა, ქვალს —
ფირუზისფერი, ყვითელი — ალისფერი, ნიურუს კი ყი-
რმზი, და ყველანი მასთან ერთად იძირებოდნენ.

— დეკემაში წერია, რომ ხვალ, საღამოს შვიდ საათზე
ერთი დიდად წარჩინებული სტუმარი გვეწვევა.

— ზედი, რომ გავგაფრთხილებს, — გოღებდა ვადიპა,
— აბა წამოვიდგინეთ, ისინი მოდიან და თქვენ, ძინძაპნი
გახვეული, ამ ქაოსში ხვდებით. ოცდაოთხი საათი გვაქვს
სამზადებლად.

— მისამზადებლად რისთვის? — ჩიბზუნა
ბერიკაცმა, — ჩემთან სტუმრად აღარაიენ მოდის, გარდა
ჩემი მეგობრებისა, მაგალითად, თქვენ. კეთილი იყოს
თქვენი მოზარბანება! ვამოთხებ სკამები, ვადიპა,
მოგვართვი ყავა და ლიმონათი!

ბატინს იმედა ჰქონდა, დააშოშინებდა მათ და ამით
დამთავრდებოდა ეს საქმე, რომელსაც უკვე უსი-
ამონებების სუნი უდიოდა.

— ნუთიც კი არ უნდა დაეკარგოთ, — შეეპასუხა ვადი-
პა თავმჯერბით ერთსულეოვანი მხარდაჭერით.

— ხვალ განსაკუთრებული დღე გვექმება, —
პათოთი დაუდასტურა სკოლის დირექტორმა.

— ყავა სხვა დროს, — მოკლედ მოჭრა ვადიპამ,
— ყავა-ლიმონათი კი არა და, სულ სხვა რამაა საჭირო ხვალ,
რათა ღირსეულად დაგხედეთ მთარფას სტუმრებს.

მერე მივარდა ტერასის ძირეზის, გაივკვამ, ხელემ
ტურქებთან შემოიყვია და მთელი ზმით ვახსახა ჩინში,
სადაც რამდენიმე მეზობელი დაბოროილოვდა:

— მუშახელი, მუშახელი გვეჭირდება! ამოდეთ,
მოგვეხმარეთ!

შემთხვევით გარემოებათა მთელმა რიგმა ხელი
შეუღლა ბატინის ნამუშევრების გამოყენას ტეტხასის
ერთ-ერთ დიდ გლეწურეაში. ამიტომ დირექტორმა მოიძია
ცნობები, ბიკანტური დეტალებიც გამოიჩრქოა მხატვრის
შესახებ და, ადგილობრივი ხელისუფლების სრული
თანხმობით, გადაწყვიტა ადგილზე გამგზავრებულიყო.
სტივ ფრელი თარაჩვეულებრივ გადაცემის გეგმავდა
მომავალი სეზონისათვის და მდივან ქალსა და პატარა
ტელეგადამღებ ჯგუფთან ერთად უკვე გაზამი იყო.

ვადიშას ენაზე რა დააკავებოდა და, სანამ ბატონთან ავიდოდნენ, ახალი ამბავი, სრულიად საიდუმლოდ, ქვეყანას მოსდებოდა. ხმა ელვის სისწრაფით გაჟარდა. ტურასი-დან საშველად მოხმობისთანავე მთელი სამეზობლო დაირაზნა. ქუდზე კაცი გამოვიდა! სათლებით, აქანდაზებით, ცოცხებით, ჯავრისებით, საპნებით, სადეზინფექციო ტლორით თუ მასკიტით აღჭურვილთ ოთხიოდე მანანნადა, ერთი გზაბანული ტურისტი და ბლომად ბავშვები შეუერთდნენ და ყველანი ერთად მიანყდნენ სახელსონოსკენ ამავე კიბეს, კორტეჯს ვადიშა გამოეგება. მას უკვე შეეშუშავებინა სამოქმედო გეგმა; ყველას სათითაოდ ჩამოურიგა წერები, ძველი თეთრეულის ჩამონახევი ნაჭრები და თითოეულს თავისი საქმე მიუჩინა. მას ხელმძღვანელობის არაჩვეულებრივი ნიჭი აღმოაჩნდა, რომელსაც აქამდე ასაჩრებნი არ მისცემოდა წარმოსაჩენად.

მოუხდავად უწყინარი ხასიათისა, ბატონი სასტიკად შეუპოვარი იყო, როცა საქმე მის სამუშაო ადგილს ეხებოდა. არავის შეეძლო გაკარებოდა სახელოსნოს. მის მახვილმზერას ერთი ნემსის ადგილის შეცვლაც კი არ გამოეპარებოდა. ბოლოს და ბოლოს ვადიშაც იძულებული გახდა, შეგუებოდა ამ ქაოსს.

— ერთხელ მაინც ბზინავდეს ყველაფერი ახალივით, — განაცხადა მან, და ხევა-წმენდა მთელი ღამე სანთელის შუქზე გრძელდებოდა. სახელწიფო ხარჯებს ზოგადებს და ნათურები არსად ეკიდა, მაგრამ ამ განსაკუთრებული შემთხვევისთვის გამოყვეს და ხელისაწმა მთელი აცმა ნაირფერი ნათურები მიამაგრა კედელზე კიბის გაყოლებამზე. ქალი, კაცი თუ ბავშვი სანინანი წყლით სავსე სათლის სათლიზე ცლიდნენ კიბის საფურცლებზე, ფხვიდნენ, ხეხდნენ სიმველისგან დაღუულ და გამორეცხილ ქვას, რომელსაც, საუკუნოვანი ქუჭყისა და სიბინძურისაგან განწმენდის, მალე სულ ბზინვა და ლაღლაბი გაუდიოდა. მერე შემოსავლელი და ოთხივე ბატონი დანაკრალეს ყველა საართულზე, გაასწორეს, გამომიჩქნეს და დააპროლეს ხის გისოსები, რომლებიც პანანინა შიდა ეზოში გადიოდა.

სახელოსნოში, ისევე ვადიშას ხელმძღვანელობით, რა ჯურის ნიუთები გინდა, კარადის უკან და სანთლის ქვეშ



მზატვარი სოფო ელიაშვილი

რამდენიმე ქალს კერძების მომზადება დაავალა, კაცებს — სასმელების ყიდვა, დანარჩენები კი შინ გაუშვა.

ახლა ოპერაციის ყველაზე რთული ნაწილი დარჩა შესასრულებელი.

ხუთი ქალი ერთად ეძებრა ბატინს. ამოდ ყვიროდა. ლაპარაკ-ლაპარაკში ვახადეს, სულ რაღაც ერთ წუთში დედემობოდა იდგა. მალალი ტანისა ზემოდან დასცქეროდათ. ფართო მკერდს ხშირი, თეთრი და ხუჭუტუა ბანჯაველი უფარავდა. მუცელი ოდნავ ამოზნექილია, ასო დაკუნთულ ბარძაყებს შორის ჩვარივით ეკიდა, წერილი ნიუები ღამაში მოყვანილობის ტერფებით მთავრდებოდა. დიხხ, ბუნებამ კარგი აღნაგობითა და ჯანსაღი სხეულით დააჯგუფოვა, რისი დასტურიც მისი ეაქვაციური გარეგნობა იყო. ასაკობრივი შესუქების მოუხდავად, ბატონი არ ეკრძალოვდა თავის სიმძიმეს, მაგრამ მდგომარეობა, რომელიც



ახლა აღმოჩნდა, ცოცხალი არ იყოს და, ზღვარს სცილდებოდა. ამიტომ ძალა მოიკრიბა და მტკიცე ხმით ითხროს, რას უპირებდნენ ეს მოუფსევსე ქალები, მისი ორგავლი ბუზებიერი რომ ირევდნენ.

შუა სახელობისწიში სამი ქალი ერთხილად მოაწორინდა მოციფორი ქვანიანი წყლით სავსე თუთიის აბაზანას, რომელსაც ქვანიის სურწნილიანი ორთქლი ასდიოდა. ამ დროს ვადიმა ქადაგვბდა, რაოდენ დიდი სარგებლობა ექნებოდა მომავალ ვიზიტს.

— რამხელა სიკეთეს მოგიტანთ თქვენც და ჩვენს უბანსაც!

თითოეული მაცხოვრებელი რალაცით იხიერებს. ეს მოულოდნელი აღიარება თავის ნაყოფს გამოიღებს. ზოგიერთებს ტელევიზორი აქვთ და მოსახლეობა არც ისე უზირია, რომ არ იცოდეს ცნობილი მხატვრის ტილოების ფასი.

— ეს ვიზიტი სახელს გავითქვამთ. ამ სახლში მუხუყმი ვაიხსნება, შესვლა ფასიანი იქნება. მეზობლები უკვე რიგში დგანან მცველის ადგილის დასაკავებლად.

ვადიმათან ერთად ყველას ვალდებულად მიანინდა თავი, ყველაფერი ელონათ, რათა აღრსეულად დახვედროდნენ სპაბათო სტუმარს. რას იფიქრებდა უცხო ადამიანი, როცა ნახავდა ამ სიბინძურეში ჩაფულულ ქაქუჩიან გაბურძნილ ბებერს დათხერილ-დათხურულ ტანსამცმელში? ვის მოუტურუნდებოდა ენა მის სასაყვედუროდ, თუ ის, თავის ქვეყანი დაბრუნებული, ყველაზე იტყობდა, ეს რა ტერტილიანი ბილიანები ყოფილანი.

ქალების ათი ხელი ერთად სწვდა ბატინს. ასნიეს და სახინან წყალში ჩააყუდეს. თავიდან გაუძალიანდა. სულ აღქაჯები, ბოროტი დედინაცვლები და ველურები ეჭიბა. მაგრამ თბილში, სურწნილოვანში წყალში თანდთან მოადუნა, მოალბო და სულ-ბორციტ ნეტარებას მიეცა. ბოლომდე ჩაცურდა აბაზანაში, თვალები მიოღდა და ნაუსტიცინა.

— ნუ ქაქანებთ მაინცავა, — ნაიბურტყუნა და ქყუშპალაობა დაიწყო.

ქალები კი გააქტორდნენ, სულ აიწყიტეს. უბემი და რბილი ღრულოებით გასაპნეს, გაბებეს, დაბანეს. ფეხის-გულეებს რომ უფხვდნენ, ელუტუნებოდა.

— დებრძიმა შევანვინო, კუდიანი ბებრებო, — ყვიროდა და ხარხარებდა.

სულ პეშბით დაუხებეს მუხლები და იდაყვები, გამოურიქნეს ყურები და ნესტოები, დაუზილეს კისერი და მხრები.

— წყალი კი არა, ტალახია! — ჭოთქოთებდა ვადიმა და უკვე შესამედ ცვილიდა წყალს აბაზანაში.

ზურგს რომ უხეზავდნენ და მკერდსა და მუცელს უხელდნენ, ქალებში ყველაზე ხნიერმა თავს ნება მისცა, გახუმრებოდა ბატინს სასქესო ორგანოების თაობაზე:

— კიდევ კარგად შენახულანი, რაც მათ შენგან ჯავა ადგათ!

ვერ ვიტყობი, რომ შენიშვნა არ ესიაზიოდა.

ბოლოს კარგად ნაბანავები, ცინცხალი ზიასტრიეტი გაკრიალეზულ-განკრიალეზული ბატინი ქალებმა ოქროსფრად მოვარაყებულ საეარქმელი გადასესეს, რომელიც მეთვეჯეს თიხოვებინა.

ჯერი დალაქბე მიდგა. მან წვერი მოპარასა, უღვამი დაუშოკა, აუნქიმა და დაუზუთა, თმები გაურქიჭა. ამ დროს ქალები ხელგბზე და ფეხებზე ფრჩხილებს ჭირდნენ, ბოლოს სქელი წარბებიც გამოუხმირეს.

მოგვიანებით შეუთოვეც შემოესწროთ. ციმციმი, საკითხი მოიტანა ბატინის „საკუბოვე“ კოსტუმი, რომელსაც ვადიმა, დანაფტალიჩებულს, სათუთად ინახავდა ჩემოდანში და ამ განსაკუთრებული შემთხვევისთვის გამოაჩინა.

მახატარი ყურადღებით და ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა, როგორ მელანდებდა ადამიანის ბუნება უჩვეულო და საგანგებო მდგომარეობაში და არაფერი დარწნუნდა გარდა იმისა, რომ დაპყლოდა მათ ნებას: ჩათრევას ჩაყოს სჯობიოთ. თანაც, თვითონ თუ როგორღაც დაედნა თავი ამ დუხჭირი ცხოვრებისგან, რა უფლება მქონდა სხვებისთვის შეუშალა ხელი? მკერდოღენ შემოსავალითან ერთად მოკრძალებული მოთხოვნილებები კი მქონდა, მაგრამ ყოველთვის აფასებდა იმ უპირატესობას, ნებას რომ აძლევდა თავისუფლად ეკეთებინა ის, რაც მოუსურვებოდა. როგორ შეეძლო უარი ეთქვა მეზობლებისთვის, ესარგებლათ შემთხვევით და გაეუმჯობესებინათ თავიანიი მდგომარეობა, ცოცხალი მოეთქვათ?

— მალე მანქანა გეყოლებს, — უმტკიცებდა დალაქი, — ახლან ჩემში ვაყმა მართვის მოწმობა აიღო და შეუძლია მძღლოდა დავიდგეს.

სახელისნოს კუთხეში სკოლის დირექტორი და ინსპექტორი ტილოების შეფასებით იყენებდნენ გართულნი, სიაშენებით უმატებდნენ ნულს ნულზე მომავალი აუქციონისთვის. მიუღი ამ ციფრებისგან ბატინს თავი ასტკიცდა და შეწყვიტა ყურისადგება.

ამ პუნქტუალურ უცხოელებს ყველაფერი საათობით უქროდა გათელილი. რადგან იქ მყოფთაგან საათი არავის გააჩნდა, ვადიმას ისლა დარწნუნდა, მზეს მინდობდა, რომელიც ნელ-ნელა ჩასკლას იწყებდა.

ღამით დურგალმა ტერასაზე გასასულიე მაგიდა გამართა. მის ზირჯებს იატაკამედ დაშვებული ქათქათა სუფრა ფარავდა. მაგიდაზე მეზობლების ნახელიე „მეუბ“ უხვად ეღავდა. მათ გვერდს უშევენებდა აურაცხელი სასმელი, რომელიც ქალაქის ყველაზე დიდ გასტრონომში თამბაქოს გამყიდველმა შეგროვილი ფულით იყიდა. ბავშვებმა კი პარკში მოპარული ყვავილეთი მორთეს მაგიდა.

ყველაფერი მზად იყო. მხოლოდ საპაბათო სტუმარიც გამოირგინა ელოდნენ.

მანქანის გამაყრუებელმა საყვირმა ნაცრისფერი მერსედესის გამოჩინა ამწერი ჩიხს.

ოფიციალური გიდი მძღოლს გვერდით ეჯდა და გზას უჩვენებდა ნილოსის სანაპიროზე აღმართული „ნუნბის-

* (არაბ.) - ცივი მარლიანი საუხმეული, ფხალეული



პალანდიან* ისტორიულ ძეგლებში აღნუსხულ ძველ შენობამდე. გზის ბოლო მონაკვეთზე, ძველ ქალაქში, მანქანამ მტვრის კორიანტელი ააყენა. მას მეორე მანქანა მოპყვებოდა გადაღმები ჯვავფით. მოხუცი მხატვრის სახლთან მათ მთელი უბანი ელოდა.

გალერეის დირექტორი ორმოცდაათიოდე წლის სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი იყო, სახეზე ოდნავ შესამჩნევი ნაოჭებით. ელევანტური შავჩარჩოიანი სათვალის ოდნავ ჩამუქებული მინებიდან თვალები ცოცხლად და მტკიცედ იმზირებოდნენ.

ნითური მდივანი ქალი კინოვარსკვლავი გეგონებოდათ. იმის მიხედვით, საუბარი ფაზილარული იყო თუ ოფიციალურ-პროფესიული, ის ხან იხსნიდა სათვალეს, ხან იკეთებდა.

— How special. რა მშვენიერებაა! რა ძალუმადა იგრძნობა წარსულის სურნელი ამ მიდამოებში! ასეთ ჩვენში ხომ ვერსად ნახავ!

კაცი თავის ქნევით დაეთანხმა.
— მარტო ავალ. თქვენ აქ დამელოდეთ. ცოტა ხნის მერე, როცა დაგვიხებთ, ამოხვალთ გადაღმებ ჯვავფთან ერთად.
— გდივ გაიყოლით.

— არ არის საქირო, ელენ. ეს მხატვარი თითქმის ყველა ენას ამტკერებს, მათ შორის ინგლისურსაც. თავდაპირველად აუღობეს მარტო შეგვდედ. როგორც იცით, არაა გაფრთხილებული. ყველაფერი მოულოდნელი, უშუალო უნდა იყოს. ამ ტელერეპორტაჟის არსი ხომ რეალობის ცოცხლად ჩვენებაა.

მოაჯირზე გადმომდგარმა ვადიპამ დაინახა, როგორ გადმოვიდა სტუმარი კერფასი მანქანიდან და მათი სახლის შესასვლელის მივთ გაემთა.

როგორც კი ვადიპამ ნიშანი მისცა, ელექტროკოსმა დენი ჩართო და კიბის გაყოლებაზე ფერად-ფერადი ნათურები ერთბაშად აბღერვიანლდა. ეს ხელოვნური სიკამკამე მუდღად ენიშნა მოსულს. ძველ კედლებზე ალგა-ალგ მთხუზუნული ცემენტო, პიალა, ლაქგდას-მული კიბის საფეხურები, თითოეული ბაქნის ფილები გაფხვკლი და ლაქითაც დაფარული, ყოველ საართულ ზედა აქაური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი, ციქცნა შიდა ენოში გამავალი მამრბაბა* მოსწონებული და გადაღებილი - ყველაფერი ეს ნამდვილი მეხის დაცემსავით იყო მისთვის. ყველაფერს ახალდასუფთავებულის სუნი სდიოდა. სოდიო, ქლორით, რადაცის შვავათი და სხვა სადეზინფექციო საშუალებებით იყო გაქვლენილი იქაურთა.

კი მაგრამ, მას ხომ ვამთა სელით ჩამოხავებული, ნავთის ლამებით განათებული შენობა აუნერეს, სადაც ყოველ ქვა საუკუნეთა ანაბეჭდს ატარებს. ესაა, რაც მას სჭირდებოდა და რისთვისაც ჩამოვიდა. ვის აინტერესებს ეს შეკეთებული და განახლებული ნაგებობა? მხატვრის იმედლა დარჩენოდა: „რაღაც გაბურჟენილი ბებერი, ნოესმავგვარი არსება“, არწმუნებდნენ მას. კამ-

* (არაბ.) - რიკულებიანი, შქიდრო დატობრული სარკმელი

ერაც მას აღბეჭდავს, მხოლოდ მას გადაიღებს. ფართო პლანით, ფონის გარეშე.

წელიწადზე მეტია, სტივ ფარელის გალერეას მძიმე ახლები დაუღდა და ახლა მთელ იმედებს ამ დახლამორჩენლ მხატვარზე აყარებდა, რომ საქმე წალმა შემორბუნებოდა.

მეთხე სართულზე კარი ფართოდ გაეღოთ. სუფთა, თითქმის ცარიელ ფონზე მოჩანდა მუქ კოსტუმში გამონკეპილი მაღალი კაცი, ისეთი, როგორც ნებისმიერი საავენტოს დირექტორი შეიძლება ყოფილიყო. კაცი მიეგება სტუმარს და ხელი გაუნოდა: — ბატონი გახლავართ. კეთილი იყოს თქვენი მომბრძანება!

ვადიპა, დიდად კმაყოფილი, რომ ასეთ მცირე დროში მოახერხა მხატვრისა და მისი სამყოფელის მორჯულება, სახელსონოს ერთ კუთხეში შეუფულოყო და გულისდაცქვლით ადექებდა თვალს, რა მოხდებოდა.

თავზარდაცემულმა სტივ ფარელმა მექანიკურად ჩამოართვა ხელი ბატონს.

— I didn't expect this*, ჩალოდლულა მან.
— Come in, if you please**.
— ეს თქვენა ხართ მხატვარი?
— მე ვარ.

— I was abused... შეკედა... თარგმნა მან. სუნთქვა შეკეროდა.

ბატონის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამ სიტყვებისთვის. ვადანწყებტა, თამაშ ბოლომდე მიყოლოდა და შემოიყვანა სტუმარი:

— თქვენ ჩემი ნახატებისთვის მოხვედით. აქეთკენ, ახლავე განახებთ.

ცერემონიალი ვადიპას დირიჟორობით დაიწყო. სხვადასხვა სამალავიდან უეცრად ჩნდებოდნენ ახალგაზრდები და თითოეული მათგანი თითო ტილის წარუდგენდა სტუმარს. ამ უკანასკნელს კი თვალყო ამ შეუღლია ანახატებისთვის, ფიქრობდა, როგორ დაერწინა თავი აქაურობისთვის. ჩამოიცილა, ვინც კი შეხედა, ამქარდა აარიდა მზერა სურათებს და ტერასისკენ გაიკვლია გზა. აქაც, ამ ცარიელმა სიერცემ, სუფრამ აკოქტული ამერიკულად**, ჯვინ რომ არ აკლდა, ვისკი თუ კოკა-კოლა, ბოლო იმედულ გაუქარწყლა მას. სახელსონოსკენ რომ მობრუნდა, მხოლოდ თავს აწებებდა, სიტყვებს ვერ პოულობდა.

— I must leave now... I shall go... I shall go... This will not do at all, at all, at all***

რა თავში იბლის ამ სურათებს?! გასასვლელის ძებნაში ჩაუარა ამ გაქევაბულ სახეებს, თან ერთსა და იმავეს იმეორებდა.

* (ინგლ.) - ამას არ ევლოდი
** (ინგლ.) - შემობრძანდიო

*** (ინგლ.) - უნდა დავტოვო აქაურობა, უნდა წავიდე, უნდა წავიდე. ეს სულაც არ არის ის, სრულებით, სრულებით



— შელგო, ეტოლ, ეტოლ!..
— რას ნიშნავს ყოველივე ეს? — დაეფენა ვადიპა.
კაცი ტყვიასაფთო გავარდა კარებში და ელვის
სისწრაფით ჩაიჭრულა კიბეები.

ბატონი ყველაფერს მიხედა და პოპერული ხარხარი
აუტყდა. სიცილით კვდებოდა, მუცელი ხელით ეკავა და
თან ადგილზე ტრიალებდა. პალატუხი მოიხსნა და პაერში
მოიხროლა, მერე ფეხსაცმელები ნაიძრო, პეჯაკი გაიხა-
და, ძირს დაავადო და გახარებული ზედ ფეხებით შედგა.
მალე მისი პერანავიც გაფრიალდა, ფართო მკერდს რომ
უფარავდა. ცეკვავედა, ბუქნავდა, ზვიმობდა, კმაყოფილი
იყო, რომ მკერდზე მაინც შერჩნოდა მცირედენი ბან-
ჯგველი. ხუთმა ქალმა ხიმ პირნმინდოდ გაუპარსა
სხეულის დანარჩენი ნაწილები.

მის ანცობას და მასხრობას შეტეხებული
მიშტერებოდნენ გარშემო მყოფნი, ნორნაზდარი ვადიპა.
ამ იმედგაცრუებულთაღმი სიბრალულმა დაუცხრო
სიშლევე, თუმცა სულის სიღრმეში უზომოდ ართობდა ეს
სანახაობა, რომლის მონე კიდევ ერთხელ ხვდა წილად
გამმადრიყო, სანახაობა, რომელიც წარმოაჩენს ადამიან-
ის ბუნებას, თანაც ყოველ ჯერზე სხვადასხვა სახით.

— მეგობრებო, ჩემო მეგობრებო, — იძახდა ის, — რა
მშვენიერი სუფრა გველოდებო! ერთად მოვილხინოთ!
ამოიყვანეთ თქვენი ვალებომა!

ასე გამხიარულებულმა შემობარუნა ისინი,
სუფრისკენ წაუძღვა. ფრთაქმსელი იყო, „ამ საღამოს
არ გამოვტოვებ ჩემს მზის ჩასვლას“, პირობა მისცა თავს.

— სავარძელი, ჩემი სარწვეველა სავარძელი... გამოი-
ტანე ჩემი სარწვეველა, ვადიპა!

ქალმა მიიზრინა იქ, სადაც გადასაფრებლების
მთელ გაროვის ქვეშ მიემალა სავარძელი და ტერასაზე
გააჩორა.

კაცმა სწრაფად გამოაბიჯა ზღურბლს, ანიშნა მეორე
მანქანის მძღოლს, გაპოლოდა და შექანდა თავის ფრიად
შთამბეჭდავ ავტომობილში.

— ანუბის პლასი, — ჩაუბურტყუნა გამტრებულ
ძილოლს.

გაოგნებულმა ელენმა ვერც გაბედა, რაიმე ეკითხა.

ფრანგულიდან თარგმნა
ლია რუსაქია

ჯიხსტოლა

„თხილ გაგაპი კიდევ ერთხელ გამიგორა“

ბიორი კეკელიძის ლექსების გამო

ბატონო რედაქტორო!

არ შემიძლია გაჩუმება — უნდა ავლაპარაკებ ჩემთვის
ერთ უჩვეულ ფაქტზე: დიდი პოეტი დაეინახე „ჩვენი
მწერლობის“ 22-ე ნომრის 22-ე გვერდის ჩაკითხვის
შემდეგ. 50 წლისა რომ იქნება გიორგი კეკელიძე, საოუ-
ბილო სავარძელი დავანებულს ასედაც მიმართავენ
ორატორები, მაგრამ თუ დიდი სიტყვაუკუმი არა ხარ,
დიდის დიდიბა მოგონილია. მოგონილი ისევე, როგორც
არ შეიძლება წლების მომატების კვალდაკვალ ცუდი
ადამიანის კარგ ადამიანად გარდაქმნა ან კარგი ადამიან-
ის გაცუდება, უნიჭო ვერ განიჭიერდება, რაც არ უნდა
კლასიკური განათლება მიიღოს, ნიჭიერს ნერა არ დაევი-
წყებდა ღრმა სიბერეშიც.

პოეზია გამოგონებლობაა. სამშობლოვე დანერილი
უამრავი ლექსი იმიტომ არ ვარგა, რომ ისინი
სადღეგრძელოებს გვანან და მხოლოდ ობოლი
მარგალიტივით იშვიათად თუ გაიყვება ამ სიტყვების
ტოლფარდი სტრიქონები: «ცვრიან ბალახზე თუ
ფეხმეველა, არ გაიარე რაა მამულა».

ზოგჯერ პოეტმა ცირკი უნდა მოაწყოს — ხელჯობი-
ანი ჯამბაზივით უნდა გაიაროს თოკზე, წონასწორობა

შეინარჩუნოს და სუნთქვაგანაბლ მკითხველს „ბრაეო“
წამოაცუნინოს.

რა ბრწყინვალეა ჩვენი ახალგაზრდა პოეტის
„ტყუილი“. ხომ მოგვინყო ცირკი, ხომ სიტყვათა თამაშზე
ააგო კომპოზიციურად ლექსი, ხომ დიდებული ფინალით
მოგვეხუხა „აღმსარების ემისტოლემ“.

მჯერა, რომ მომავალი იგი არ უღალატებს თავის თავს.
ზოგიერთ პოეტს, სიყმანელებში მდიდარი რითმა თვალთაც
რომ არ დასიზმრება (და ყურიაც რომ ვერ ალუქვას, რა
თქმა უნდა, სხვისი), ხანდაზმულობაში წამოსცდენია
ხუთმარცვლიანი რითმა და ალბათ თავსაც იწონებს ამით.
მაგრამ, რად გინდა, რაც შენ სტილი არა დევეს, ის რეიტინგს
ვერა და ვერ აგინებს «ცხენთა შეჯიბრებაზე».

დარწმუნებული ვარ, რომ ლეგენდური (და არა ლეგენ-
დარული) ზურაბის თემაზე შესანიშნავი ლექსის ავტორი
გიორგი კეკელიძე კვლავაც არაერთხელ გაიმეორებს
(კარგი გაგებით) თავის თავს და ერთხელაც არის
დასრულებული პოეტის აჯა დამამბედლისადმი: „თბილ
ბაგაში კიდევ ერთხელ გამიგორა“.

ჯამალ იფაია



გმირება გოსტაპაბიჰვილია

სახალწლო მოთბრობაში „ნიკოლოზ გოსტაპაბიჰვილი“ ილია ქაჭავაძის გაუხსენებია თავისი ბავშვობის დროინდელი ერთი ეპიზოდი.

ორმოც წელიწადს გადაცილებულ მწერალს ტკბილად აგონდება ის დრო, როდესაც დედ-მამაც ცოცხალს ჰყავდა, და-ძმანიც და ერთად ეგებებოდნენ ახალ წელს.

დგებოდა პატარებისათვის ყველაზე სანატრელი დღეაბა, ვარეთ რაღა ვაიყვანდათ! აღარც გუნდაობა ახსოვდათ, აღარც კაკანათის დავება, აღარც თოვლიანი ზღომა და სირბილი. დედა სახალწლო ტკბილეულს ამზადებდა, ბავშვები მის გარშემო ტრიალებდნენ, ხანდახან თითხაც ამოაგლებდნენ თაფლიანი პირის ჩასატკბარუნებლად და დედა უფულოდ უჯავრდებოდა აცელქებულ შვილებს.

ილიას ყველაზე მეტად დამახსოვრებია ერთი ახალი წლის წინა ღამე. ალბათ იმიტომ დამახსოვრებია, რომ იმ ღამით მამას უჩვეულო საახალწლო ზღაპარი უამბინა შვილებისათვის. უჩვეულო კი იმიტი ვახლდათ, რომ წინანდელ ზღაპრებს არ ჰგავდა — ამ არც დეცების ქაჭანება იყო, არც გველუშაბები სა და არც ოქროსთმინი ქაბუცი ღამობდა მისინარე შეფთუნიზავის დახსნას.

ეს უჩვეულო ზღაპარი

ჩვენს წარსულში გადახდილი ერთი ომის ამბავს გადმოგვცემს. „...როდესაც ზრდილა გაცხარებულა, ყიზილბაშ მეომარს ცხენი ვამოუქუცებია მოვდანზე, ამჟამად გაუჭურულ-გამოუქროლებია ქართველების თვალწინ, თითქოსდა ჯირითში ვარჯობდა და აინუნიაოც არ ავადება, რომ ირგვლივ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება ფეოქაბედა და საფრთხე ყოველი მხრიდან ემუქრებოდა თავზე ბელაღებულ მომხდურს.

ყიზილბაშის თავგებობით გავგლისებულ ერთი ქართველი ქაბუკი გამოეყო თავისიანებს და ცხენი ზედ ყიზილბაშს მიადგო. ილიას სიტყვით, „ყიზილბაშმა ჰკრა შიგ გულის-ფიცარში შუბი და საბრალო ვაჭაკი ვერ ჩამოეკიდა ცხენს და მერე უსულოდ დეიცა დედამამაზე“.

ახლა მთორე ქართველმა მუტტია განარჯუებულ ყიზილბაშს და იმასაც იცევი ბუდი ენია. გახალისებულმა მტერმა ცხენი ვაათამაშ-გამათამაშმა მოვდანზე, თითქოს ნიშნის-მოკებით მიმართოვდა ქართველებს, გამოღით, თუ შნი გატევი, მანც ვერაფერს დამაკლებთო.

ილია განაგრძობს: „გავიდა მესამე, გავიდა მეოთხე, გავიდა მეხუთე და ყველას ცალკე იცევი დედაყენა თათარმა. ასეთი ყმანელი კაცები დამხოცა, რომ უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა. შეუნხდა ქართველობა სისრცხელი როგორა ვჭამითო, შინ რა სახელით-ღა მივადეთო. არ იცოდნენ, რა ექმნათ. ყველას შშიძი და ფიქრი მიეცა. ვედარავინ ჰბედავდა ვასკლას“.

დაბნეულ-აფორიაქებულ ქართველებს უეცრად ნიკოლოზ გოსტაპაბიჰვილი გაახსენდებათ. ისლა თუ ვიპოველი-

სო, ყვირინა და გამალებით ეტყენ.

სახელგანთქმულ მხეველმწერად აღარც მკლავი ერჩოდა და აღარც მუხლი. ოურა აბალგაზრდა ყიზილბაშთან ვიკალი, მაგრამ თავგადასულნი ევედრებოდნენ, ხუთი ჭაჭილი მოვციკლაო, იმითა სისხლი როგორ უნდა შევარჩინოთო?!

ბოლოს და ბოლოს დაიყოლიეს.

გოსტაპაბიჰვილმა ახსენა ღმერთი და ცხენდაცხენ მიექრა ყიზილბაშს. იმან შუბი ნამოულერა, მაგრამ ნიკოლოზმა ხელი აუკრა და მარჯუდ აღიკონა. მეორე შემოტევა აღიკონა აცალა, ნასწედა, ერთი-ორი ლონიერულად შებლერტა და ცხენიდან ძირს ჩამოაგდო. დაცემულს გაუჭირდა ნამოვგამო. გოსტაპაბიჰვილი ჩამოქექითდა, ნამოაყენა დამარცხებული ყიზილბაშ და ასე დამაშვიდა:

„ნუ ვეზინიან, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენის ვაჭაკობისათვის მიბატიებია. ცოდვია შენი გაუფუცება. ნაიღ და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო“.

ყიზილბაშმა პასუხად მიუგო: „მეც სიცოცხელს თუ ვისჯანმე ვიჭქუტები, მარტო შენისთანა ვაჭაკისაგანაო“. სალამი მისცა და ნაყიდა.

ახლა ისიც ვკითხვით, ზემოთქმული ამბავი ერთი ჩამოუვარდება იმ ზღაპრებს, სადაც დეე-გველუშაბები დაბობოქრობენ და ოქროსთმინი ქაბუკები თავგანწირვით ებრძვიან ადამის მოდგმის მოძულეთ. ესეც ისევე წარმოუდგენელი და დაუჯერებელი გვეგონებათ, როგორც ის ხალხური ზღაპრები, უსსოვარ დრო-ფემს რომ დაბადებულან და დღემდე ახარებენ ნორჩი მკითხველის გულს.

ოღონდ ერთი განსხვავება შეინიშნება: ილიას მამისეული ზღაპარი ანუ დიდი ქართველი მწერლის საახალწლო მოთბრობა ისტორიულ სინამდვილეს ასახავს.

დაბე, ზემოხსენებულ ეპიზოდს სიტყვაბედად მოგვითხრობს გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი.

მოქმედება მიმდინარეობს XVII საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც სახელგანი მუდე ქართლისა გიორგი XI მუშუპოვრად ებრძოდა მომხდურ ყიზილბაშებსა და ადილობრივ რენეგატებს.

აი, ეს ეპიზოდი ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებიდან: „ქვალად მზნედ გამოწნდა სპარსი ერთი, რამეთუ ჩამოყარა ხუთნი მხედარნი, მზნე ქაბუკნი. შემდგომად შიკაყარა იგიცა გოსტაპაბიჰვილმან ნიკოლოზ და ვახუშტევა მშვიდობით სიმზნისა მისისათვის“.

ყველაზე მჭკრმტყველი მაგალითი ქართული დიდსულოვნების ამოუჩერეია ერის უნადლო მოძღვარს საქართველოს ისტორიიდან. მოყვასის სიყვარული რა ბედენაა, გიყვარდეთ მტერნი თქვენნიო — მცნებისამებრ მაცხოვრისა.



პირველ საათზე არა მშობიარე

1935 წლის ივნისში პარიზი მასპინძლობდა მთელი მსოფლიოს მწერალთა ანტი-ფაშისტურ კონგრესს. მისი სხდომები უკვე დაწყებული იყო, როდესაც თვალსაჩინო ფრანგი მწერლები ანდრე მალრო და ანდრე ჟიდი უწვივნენ საბჭოთა საელჩოს პარიზში და დაქინებულ მოთხოვნებს დასწრება ამ კონგრესზე ორი საბჭოთა მწერლისა, რომელთაც ვარგაფ ივანოვს და ეტროპაში. ესენი იყვნენ: პროზაიკოსი ისააკ ბაბელი და პოეტი ბორის პასტერნაკი.

მალროს და ჟიდს, მათი მემორანდუმების გამო, პატივს სცემდნენ საბჭოთა კავშირში, ანგარიშს უწევდნენ და მუამდგომლობა მიყვანიდნენ.

20 ივნისს სტალინის პირადმა მდივანმა პოსკრევისმემა დაურეკა პასტერნაკს და აუტა ბელადის განკარგულება, რომ პოეტს დააყოვნებლივ გამზადებულიყო პარიზში გასამგზავრებლად. პასტერნაკს ემტყობა ეს სიუპრიზი, გაჯეუტდა, იმოდამტბა: სასტიკი უშილობა მანუებებს და მძიმე დეპრესიაში ვარ ჩავარდნილი.

თქვენც არ მომიკვდეთ, ყრუს ვინ ათხოვებდა!

პასტერნაკი გაოგნებული იყო. ვერ გაერკვია, რამ გამოიწვია ესოდენ მოულოდნელი განკარგულება, ასე უცერფონიოდ რომ აუწყეს? რატომ უნდა შეერთებოდა მწერალთა დელეგაციის, რომელშიც თავიდანვე არ შეყვანეს, რომელიც უკვე იმყოფებოდა პარიზში და მონაწილეობდა კონგრესის მუშაობაში? რაშია და მალროს ნარმოადგინოს საბჭოთა ლიტერატურა, როდესაც ღრმა მემომედებით კრიზისშია ჩაფლული და პირქუში დეპრესიაში არის შეკარბული?

აფორაქტებულ პოეტს ერთ დღეში შეუკერეს საუცხოო კოსტუმი და 21 ივნისს მატარებელი უკვე მიაკროლებდა პარიზში (გზადია, ბაბელიან ერთად).

კონგრესზე გამოცხადდნენ 24 ივნისს, ხოლო 25 ივნისს (კონგრესის დახურვის წინა დღეს) პასტერნაკი გამოვიდა სიტყვით. მან უარი განაცხადა ნაქიობა საბჭოთა დელეგაციის, ასე ვთქვით, კომისრად დანიშნული ილია ერენბურგის მიერ მომზადებული ტექსტით.

პასტერნაკის სიტყვა საოცრად ლაკონური იყო. პასტერნაკს არ უთქვამს ის, რასაც ელოდნენ მისგან კრეშლი. კრინტიც არ დაუმრავს საბჭოთა დემოკრატიისათუ საბჭოთა კულტურის უპირატესობაზე დასაქლურთან მიმართებით. გრმზანული ფაშისტის მუქარაც კი არ უსწენებია (არადა, კონგრესის ანტიფაშისტური ერკაც).

ანდრე მალროს უთარგმნა მსმენელს პასტერნაკის სიტყვა, მერე ნაქიობა ფრანგულად თარგმნილი ლექსი რუსი პოეტისა: „ასე იწყებენ ლექსით ცხოვრებას“ (დათარიღებული 1921 წლით). დარბაზმა ხანგრძლივი ოვაციით დააჯილდოვა სახელგანთავსი პოეტს.

იმავე მალროს გადმოცემით, მთავარი იდეა პასტერნაკის სიტყვისა იყო ის, რომ პოეზია და ბუნებრივად არ იბოვება კონფერენციებსა და მტყინგებზე; რომ მწერლებს არავითარი მოტივი არ გააჩნიათ გასაერთიანებლად და არავითარი აზრი არ აქვს მწერალთა ორგანიზაციებსა და კავშირებს; რომ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ცალკეული მწერლის პირადი დამოუკიდებლობა და ეთიკური პრინციპები.

პასტერნაკის ცხოვრებისა და მემოქმედების მკვლევარი ისრაელიდან ლაზარ ფელიშმანი ასკენის, რომ პასტერნაკის პოზიცია მკვეთრად განსხვავდებოდა როგორც მაქსიმ გორკის თვალსაზრისისგან მწერალთა კავშირის შესახებ, რომელიც უნდა ყოფილიყო ჩინასახი ლითლური ოპოზიციისა სოციალისტურ საზოგადოებაში, ასევე — სტალინის ინტერპრეტაციისგან, რომელიც მწერალთა კავშირს გულისხმობდა ინტელექტუალზე კონტროლის საშუალებად.

ერენბურგის თავის მემუარებში, გასაგებ ვარემობათა გამო, ვამორჩნას ის, რაც მალრომ გვამცნო, მაგრამ სამაგვიოდ ისეთი ამბავი მემოგინება, ერთ რამედ რომ ღირს და კონგრესზე პასტერნაკის გამოსვლის თავისებურ პოსტსკრიპტუმად გამოდგება.

პასტერნაკი თურმე ეუბნება ერენბურგს, ფრანგ მწერლებთან შეხვედრა და საუბარი მსურსო. გადამვეიცტეს, სადღლად მოუნიათ ისინი (აღბათ, მალროს თამადობით).

მეუთანამდნენ კიდევ, მერე კი ერენბურგის მრულემ დაურეკა პასტერნაკს: ამა და ამ რესტორანში მობრძანდით დღის პირველ საათზეო.

პასტერნაკი აღმფრთხილებლა: „რატომ ასე ადრე? უმჯობესია — სამზე“.

ერენბურგის მრულემ აუხსნა, რომ პარიზში სადღოტონ თორმეტდანი ორ საათამდე, ხოლო სამ საათზე რესტორნები დაკეტული არისო.

პასტერნაკმა მოკლემ მოუტრა: არა, ბატონო ჩემო, პირველ საათზე მე არა მშობიარე...

ასე ვაუტემა დაგვემილი შეხვედრა და მშობიარე დატკოვა საბარლო ფრანგი მწერლები.



ბორის პასტერნაკი, 1935 წელი

ქრონიკა

26 დეკემბერს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გამართა წარდგინება პროფესორ ნინო შარაშენიძის მონოგრაფიისა „საქონიური ქართული“ (ქვემოთმწერული კილო ერთი სოფლის მტკვების მიხედვით) თავსწილობა შესავალი სიტყვით გახსნა ავტორმა, ვინც ზოგადდ მიმოხილვა ნინოს იგებულენა და წარმოაჩინა XX საუკუნე-

ნის 80-იანი წლების ერთი ქართული სოფლის თავისებურებანი — მტკვევლების, სოციალური უფოს, ფოლკლორის... მონოგრაფიაზე ერცულად ისაუბრა პროფესორმა ვიორგო გოლოდაშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ ენათმეცნიერები: იზა ჩანტლაძე, გურამ ბედემუილი, ვაჟა შენგელია, მერაბ ჩუხუა, მწერალ დავით ტურაშვილი.

„ჩვენი მწერლობის“ პრემიის ახალი ლაურეატები

საქართველოს
მწერთა კავშირი



ნუსტან კვინიკვაძე

ჟიონა



გიორგი კაკელიძე

ჟიონა



ლია კუხინიძე

ჟიონა



ლელა სამნაშვილი

ოთაროშვილი



გიორგი ჩაჩანიძე

მეჩუროშვილი

6 70/1



მკაცრი

ეკატერინე ტსკიტაშვილი